645/3
1982



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
10
1982



ჯილდოების გადაცემის დროს.
საკდესის-საქინფორმის ტელეფოტო.

# ეკიპაჟში კოსმონავტი ქალია

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1982 წლის 19 აგვისტოს 21 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ ტ-7“ კოსმოსური ხომალდი.

კოსმოსურ ხომალდს პილოტობდა ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი, ბორტინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სერებროვი და მკვლევარი კოსმონავტი სვეტლანა ევგენის ასული სავიცკაია, რომელმაც გამომცდელ მფრინავთა სკოლაში გაიარა სწავლების კურსი, აითვისა ოცზე მეტი ტიპის თვითმფრინავი, იფრინა 1500 საათი და აქვს „მეორე კლასის გამომცდელი მფრინავის“ კვალიფიკაცია. გაიარა „სალუტ“ სადგურით და „სოიუზ-ტ“ ხომალდით მკვლევარ კოსმონავტად ფრენისათვის მომზადების სრული კურსი.

ს. ე. სავიცკაია სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატია. დაამყარა 18 მსოფლიო საავიაციო რეკორდი, 1970 წელს იყო უმაღლეს პილოტაჟში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი.

საბჭოური კოსმონავტიკის ახალი ფურცელია „სოიუზ ტ-7“ ხომალდის ეკიპაჟის წარმატებული ფრენა, რომლის შემადგენლობაში პირველად მუშაობდა კოსმონავტი ქალი. მან კვლავ ცხადყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი შესაძლებლობანი კოსმოსის შესწავლასა და დედამიწის შეცნობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 13 სექტემბერს კრემლში კოსმოსის გმირებს სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადასცა.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17486

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მოგვიწოდებს



„...ქსდფ-ს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სოლიდარობა ქალებთან, რომლებიც თავიანთ ხალხებთან ერთად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის“.

**ქსდფ-ს წესდებიდან**

პალესტინის ქალების საყოველთაო კავშირისა, და ლიბანის ქალთა უფლებების დაცვის ლიგის მიწვევით, წლეულს 19-26 მაისს ლიბანში სოლიდარობის მისიით იმყოფებოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დელეგაცია, ქსდფ-ს გენერალური მდივნის მირიამ ვირე-ტუიმინენის მეთაურობით.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ქსდფ-ს სამდივნოს მიმართვას მსოფლიოს ქალებისადმი:

XX საუკუნის ისტორიაში მრავალი ფურცელია სახელოვანი და ტრაგიკული, გმირული და სამარცხვინო. ერთერთი ყველაზე სამარცხვინოა ისრაელი აგრესორებისა და მათი ხელშემწყობი იმპერიალისტების მიერ 34 წლის წინათ გაჩაღებული ომი ახლო-აღმოსავლეთში, არაბ ხალხთა წინააღმდეგ. ომი, რომელიც დრო და დრო წყნარდება, მაგრამ დღემდე არ შეწყვეტილა — ომი ბინძური და სასტიკი, რომელმაც იმსხვერპლა არაბი ხალხების ათასობით ვაჟი და ქალი, ომი რომლის მსხვერპლია ერთობლივ პალესტინელი ხალხი. ეს ხალხი დღეს მოკლებულია პლანეტის მთელი მოსახლეობის ყველაზე უწმინდეს უფლებას, ჰქონდეს თავისი სამშობლო. ეს ხომ უპრეცენდენტო შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში და განა პარადოქსული არ არის, რომ აგრესორის როლში, რომელიც ასე თავხედურად თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, გამოდის ისრაელი — ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, შექმნილი გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიერ?

პალესტინელთა ერთ-ერთ ბანაკში, ბურჯ-ალ-ბარაჯინაში, რო-

მელიც ბეირუთში მდებარეობს, საბავშვო ბაღის ბავშვები უმღეროდნენ თავიანთ სამშობლოს — პალესტინას, რომელიც არა თუ მათ, ზოგი მათგანის მშობლებსაც არ ენახათ.

რა იცოდნენ ბავშვებმა, რომ ერთი კვირის შემდეგ ბურჯ-ალ-ბარაჯინსაც, რომელიც მათ მშობლიურ სახლად იქცა, დაბომბავდნენ ისრაელები და რომ 1982 წლის 6 ივნისს, 1967 წლის ივნისის ომის მე-15 წლისთავზე, ომისა, რომელმაც წაართვა პალესტინელებს უკანასკნელი მიწები — მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპირო და ღაზის სექტორი, ისრაელი მიმტაცებლები სისრულეში მოიყვანდნენ ფართო მასშტაბის აგრესიას ლიბანისა და პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ მოწმე გავხდით, როგორ იმსხვერპლა ამ აგრესიამ ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები — ლიბანელი თუ პალესტინელი მოხუცი, ქალი, ბავშვი...

ჩვენ ვხედავდით ლიბანის სამხრეთ ნაწილში ბეირუთში და დამურში ისრაელის ბომბებით განადგურებულ სკოლებს, სახლებს და საავადმყოფოებს.

. . . . . . . . . . . . . .

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს, ნიურნბერგის პროცესის დროს აშშ-ს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ადამიანს, რომელიც მიიღებს ბრძანებას, შეასრულოს ბოროტმოქმედება კაცობრიობის მიმართ, სინდისი და კანონი ავალებს, უარი თქვას ასეთი ბრძანების შესრულებაზე, არ დაემორჩილოს თავის ხელისუფლებას.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, ბატონო რეიგანო! განა კაცობრიობის მიმართ დანაშაული არ არის, მისცე ხელში იარაღი ისრაელ აგრესორს და აქეზებდე ლიბანის მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალების, ბავშვების დასარბევად და დასახოცად? ანდა ნუთუ ისრაელების მიერ პალესტინელების წინააღმდეგ წარმოებული გენოციდი არ მიგაჩნიათ კაცობრიობის მიმართ დანაშაულად?

. . . . . . . . . . . . . .

ჩვენ გვჯერა, რომ იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების — ისრაელების გეგმებს შესრულება არ უწერია, მაგრამ დღეს...

დღეს ისრაელი აგრესორები კვლავ თელავენ სუვერენული ლიბანის მიწას, კვლავ იღვრება მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი. ისრაელის აგრესიის შედეგად ლიბანში ასიათასობით ადამიანი დარჩა მშიერი და უთავშესაფრო. ისრაელის მიერ არაბების წინააღმდეგ გაჩაღებული ახალი ომი პირდაპირი შედეგია „სტრატეგიული თანამშრომლობის" თაობაზე აშშ-ს და ისრაელის შეთანხმებისა და ეს ომი ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას!

ხელმძღვანელობს რა ქსდფ-ს წესდების პრინციპებით, ხელმძღვანელობს რა 1981 წლის ოქტომბერში პრაღაში გამართული ქალთა საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებებით, ქსდფ მოუწოდებს თავის ეროვნულ ორგანიზაციებს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და სამართლიანობის იდეალები: აღიმაღლეთ ხმა ლიბანისა და პალესტინის ქალთა და ბავშვთა დასაცავად! მოითხოვეთ, რათა ისრაელის ჯარებმა დაუყოვნებლივ დატოვონ სუვერენული ლიბანის ტერიტორია! გააკეთეთ ყველაფერი ახლო აღმოსავლეთის კრიზისის უახლოეს ხანში სამართლიანი ლიკვიდირებისათვის.

პალესტინელ დედებს, როგორც მსოფლიოს ყველა დედას, წმინდა უფლება აქვთ აღზარდონ თავიანთი შვილები თავიანთ სამშობლოში.

### მსოფლიოს ქალებს!

დღეს ლიბანისა და პალესტინის უთავშესაფროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს ესაჭიროებათ თქვენი დახმარება. მიაწოდეთ მათ, ლიბანში საკვები, მედიკამენტები, კარვები, საბნები.

საჭიროა სოლიდარობის ფართო კომპანიის ორგანიზება, საჭიროა სახსრები მედიკამენტებისა და სურსათის შესაძენად. დავეხმაროთ ლიბანელ და პალესტინელ ქალებსა და ბავშვებს!



იბეჭდება შემოკლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასურსათო პროგრამა — №1 ამოცანა

# ასეთია ახალი საწარმო

არაჟან-ხაჭოს საამქრო



რძე უცვლელი საკვებია განსაკუთრებით პატარებისათვის, რადგანაც მასში შედის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის საჭირო მრავალი ელემენტი: ცილები, ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები, რძის ცხიმი...

სწორედ რძის ასეთი კვებითი ღირებულებების გამო დღითიდღე ფართოვდება მისი წარმოება. ორი წლის წინათ საქარხნო რაიონში ამუშავდა გაერთიანება „თბილრძის" სათავო საწარმო, რძის კომბინატი (გენერალური დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ცქიტიშვილი).

ახალი საწარმო მწარმოებლური დანადგარებით არის აღჭურვილი. მისი ნედლეულის კარგი ბაზაა ქართლისა და კახეთის ზონებში განლაგებული ყველ-კარაქის ქარხნები; სამინისტროს დაქვემდებარების წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, დმანისის, ნალკისა და სხვა რაიონების ქარხნებიც მას დიდი რაოდენობით აწვდიან რძეს. სათავო საწარმო ყოველდღიურად 140-150 ტონა ნატურალურ რძეს იღებს, რაც შეეხება ყველს, დასახელებული რაიონებიდან წელიწადში 8000-9000 ტონამდე ეგზავნება საწარმოს.

საწარმოში ნატურალური რძისაგან მზადდება თავისთავად რძე, ხაჭო, არაჟანი, ხაჭოს ყველეული, კეფირი, მაწონი, დიეტური პროდუქტები, ყოველივე ის, რასაც ყოველდღიურად ვიძენთ მაღაზიებში. კომბინატი ყოველდღიურად 60-70 ტონა რძეს, 15-16 ტონა მაწონს, 4 ტონამდე ხილისშემავსებელ დიეტურ პროდუქტებს, 10 ტონამდე ხაჭოს, 2 ტონამდე ხაჭოს ყველეულს, 8-10 ტონა არაჟანს უგზავნის მაღაზიებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებსა და სხვა ორგანიზაციებს.

აღსანიშნავია, რომ კომბინატის ამოქმედებით ერთიორად გაიზარდა ხაჭოს და არაჟნის გამოშვების წარმადობა. თუ ადრე მათ ცალ-ცალკე 10-10 ტონას უშვებდნენ, დღეის[illegible] ეს რიცხვი 20-22 ტონამდეა გაზრ[illegible]ლი და მთლიანად აკმაყოფილებს [illegible]ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნას. [illegible]ჯერ გაიზარდა აგრეთვე რძისა და დიეტური პროდუქტების გამოშვებაც.

კომბინატში 550-მდე კაცი შრომობს. ისინი დასაქმებული არიან სალი რძის წარმოების, ყველ-კარაქის დამამზადებელ და მეორადი ნედლეულის გადასამუშავებელ საამქროებში, საკომპრესორო, მექანიკურ, საქვაბე და სხვა დამხმარე საამქროებში, რძის მიმღებ და ჩამომსხმელ, სააპარატო, ხაჭოსა და არაჟნის, ყველის, მდნარი ყველისა და ყველეულის, ერბოს წარმოების, რეცხვისა და დეზინფექციის, მეორადი პროდუქტების გადამუშავების უბნებსა და 800 ტონისათვის გათვალისწინებულ ყველსაცავში.

24 კაცი ხაჭო-არაჟნის უბანზეა (ოსტატი შ. ყიზილაშვილი, ტექნოლოგი ციცინო გოცირიძე), რომელიც მთელს კომბინატში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. გულმოდგინედ დაფუსფუსებენ თეთრხალათიანი, ხილაბანდით თავწაკრული ქალები. საპარატო უბნიდან აქ დახურული მილებით მოედინება პასტერიზებული რძე, რომელსაც სპეციალურ ჭურჭელში ადედებენ, აქვე მიმდინარეობს ხაჭოს ხარშვა, რასაც თვითდაწნეხვა, გაცივება და დაფასოება მოჰყვება. დაფასოებული ხაჭო ცივ საკანში შედის (აქ მას 8 გრადუსამდე აცივებენ) და შემდეგ იგზავნება მაღაზიებში.

არაჟნის დასამზადებლად საპარატო უბნიდან იღებენ ნორმალიზებულ ნაღებს და ახდენენ მის პასტერიზაცია-ჰომოგენიზაციას, აქვე აციებენ შედედების ტემპერატურამდე (ეს პროცესი 14-16 საათს მიმდინარეობს), მერე სამ ავტომატზე, 200 გრამიან ჭიქებში აფასოებენ, ტრანსპორტიორით ცივ საკანში მოსამწიფებლად და გასაცივებლად შეაქვთ და ბოლოს მომხმარებელს უგზავნიან.

საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები აქვთ უბნის წევრებს თინა სიხარულიძეს, ლია სანიკიძეს, რუსუდან აბზიანიძეს, ლილი ქურდოვანიძეს. უბნის წევრების საქმიანობას კონტროლს უწევენ საამქროს ტექნოლოგი ჯ. ძაგანია და ლაბორანტი ლერი დოლიძე.

საპარატო უბანზე, რომელიც ზევით ვახსენეთ, საპასტერიზაციო დანადგარებით რძეს თერმულად ამუშავებს 10-25 ტონის ტევადობის უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული რძის რეზერვუარები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომბინატის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს სიახლეთა, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დასანერგავად, კერძოდ, საპარატო უბანზე დაამონტაჟეს და უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ საათში 20 ტონა წარმადობის მქონე რძის საპასტერიზაციო იმპორტული ავტომატური ხაზი. იგი რძეს ძალზე მოკლე დროში ამუშავებს თერმულად, აცივებს და წმენდს. ეს კი, საბოლოოდ, სასიკეთოდ მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

დანერგილია აგრეთვე რძის მილგაყვანილობისა და რეზერვუარების მექანიზებული რეცხვა ცირკულაციის მეთოდით.

მიღწევები აქვთ ტექნოლოგიის თვალსაზრისითაც. აქედან აღსანიშნავია დღეისათვის არაჟნის და მომავალში ტალინური კეფირის (იგი 250 გრამიან ლამინირებულ ქაღალდის პარკებით გამოვა) რეზერვუალური მეთოდით წარმოება. ეს ყველაზე პროგრესული მეთოდია. რატომ? ჩვეულებრივი თერმოსტატური მეთოდი მეტად შრომატევადია. რეზერვუარული დანერგვით კი გამოთავისუფლდა საწარმოო ფართი, სადაც ახლა ხაჭოსა და არაჟანს აწარმოებენ. აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი საწარმოს პროექტი სრულიადაც არ ითვალისწინებდა ხაჭო-არაჟნის წარმოებას. სათავო საწარმოს კოლექტივმა ამას საკუთარი მონდომებითა და ძალებით მიაღწია.

ხაჭოს წარმოების დღევანდელი ტექნოლოგიით რვა ხელის შრომის პროცესი ერთ, ნახევრადმექანიზებულამდეა შემცირებული. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს ისეთ საწარმოში, სადაც მომუშავეთა 60 პროცენტი ქალია.

შრომატევადი იყო ნადუღის დაფასოებაც, რაც დღეს მთლიანად მექანიზებულია (ამასაც საკუთარი ძალებით მიაღწიეს). ქალთა შრომა საგრძნობლად შეამსუბუქა ყველის მასის ამოღებისა და დაწნეხვის პროცესის მექანიზაციამაც — სპეციალურმა დამწნეხმა აპარატმა.

აქაური პროდუქციის ხარისხს ბევრად განსაზღვრავს გაერთიანების ცენტრალური ლაბორატორიის (უფროსი თ. რეხვიაშვილი) გამართული მუშაობა: ცენტრალური ლაბორატორია მ,აცრად უწევს კონტროლს შემოსული ნედლეულის, დამხმარე მასალების ხარისხს, ადგენს სტანდარტებთან მის შესაბამისობას, ამოწმებს ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობასა და მზა პროდუქციის ხარისხს.

მთავარი ინჟინრის ხელმძღვანელობით კვირაში ორჯერ იკრიბებიან სადეგუსტა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო ოთახში საწარმოო დეგუსტაციისათვის. რაც შეეხება ყოველდღიურ დეგუსტაციებს, ის ლაბორატორიაში ეწყობა.

მისასალმებელია, რომ კოლექტივი საგანგებოდ ზრუნავს მეორადი ნედლეულის, — ხაჭოსგან და ყველისგან მიღებული შრატის გადამუშავებისათვის. კომბინატში მისი გადამუშავება ასი პროცენტით ხდება, საერთოდ მთელს გაერთიანებაში კი — 95 პროცენტით, რაც ორჯერ აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ყველის შრატისგან ყოველდღიურად ტონა, ტონანახევარ ნადუღს ამზადებენ. ეს უკანასკნელი ბიოლოგიურად მდიდარი, დიდი საკვები ღირებულების მქონე შრატის ცილებისგან შემდგარი პროდუქტია და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ხაჭოს და ყველის შრატისგანვე ამზადებენ შესქელებულ შრატს, რომლის ძირითადი მომხმარებელიც პურის ქარხნები და საკონდიტრო საწარმოებია. ერთი ტონა შესქელებული შრატი 400 კილოგრამ ფქვილს ზოგავს. შრატისგან ამზადებენ აგრეთვე სამედიცინო პრეპარატებისთვის მეტად საჭირო ნედლეულს — რძის შაქარს, მეცხოველეობის საკვებად გამოსადეგ გამდიდრებულ შრატს.

დედაქალაქის საწარმოთა შორის კომბინატი ერთ-ერთი მოწინავეა. შეჯიბრებაში დევიზით — „საწარმოს ყველა რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა“,— ის პირველ ადგილზე გამოვიდა წლევანდელი ექვსი თვის შედეგებით, წლევანდელი ორი კვარტლის მაჩვენებლებით კი საკავშირო გარდამავალი დროშები ხვდა წილად დარგის საწარმოთა შორის.

ხელშესახები შრომითი გამარჯვებები კი იოლად, თავისთავად როდი მოდის. ეს ნედლეულის მეორადი გადამუშავების უბანზე დასაქმებული, საქალაქო საბჭოს დეპუტატის ნინო ზაქარეიშვილის, სამამულო ომის მონაწილის ანა ყაზარიანის (რძის დაფასოების უბანზე შრომობს) მოწინავე დამრიგებლის დოდო კონიაშვილისა და სხვათა ღვაწლია.

ადამიანთა თავდადებულ შრომას აფასებს საწარმოს ხელმძღვანელობა, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს მუშათა შრომის, დასვენების, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ლამაზად არის გაფორმებული 120 კაცისთვის განკუთვნილი სასადილო, რომელიც საკუთარი დამხმარე მეურნეობიდან მარაგდება ხორცითა და ბაღჩეულით. აქვეა ჩინებული სააქტო დარბაზი, ქალთა და კაცთა საპარიკმახერო, ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო, გასახდელები. სულ მალე ექნებათ ქალთა ჰიგიენის ოთახი, ეყოლებათ ფსიქოლოგი. თვალს ახარებს ვაზის ხეივნით, ხეხილითა და ყვავილებით დამშვენებული ეზო...

ინეზა ლეკვეიშვილი



„მიმდინარეობს მუშაობა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების, მეცხოველეობის განვითარების, მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში სასურსათო პროდუქტების ზრდისათვის“.

**სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.**

# საქმე წინ მიდის

ბინდდებოდა, შუახევის გზა რომ ჩამოათავა. პირველი სინათლეები აენთოთ დაბურული ეზოების უკან, სახლებში. გული სხვანაირად ძგერდა ზღვის სანაპიროზე. უფრო საიმედოდ და დინჯად, ნესტოებს ოდნავ ნოტიო ჰაერი მსუბუქად ელამუნებოდა.

გულნაზიმ სამი წლის ბიჭუნა კალთიდან ჩამოსვა და მგზავრობისაგან დაბრუჟებული ფეხები გამართა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, უჩვეულოდ მსუბუქად გაიარა.

—ზღვაა აქ და იმიტომ, — გაიფიქრა,— ზღვასთან ვიცხოვრებთ, ხუთი მაზლის ოჯახი უფრო თავისუფლად იქნება უჩვენოდ. უჩვენოდ იქნება იქ თამბაქოს პლანტაციები, დიდთოვლა ზამთარი, ზვავების ხმაური მთაში...

გულნაზი ველიაძის ბარად ცხოვრება დაიწყო. პირველად ხხვა შუახეველებთან ერთად საერთო ბინებს შეაფარა თავი.

ბორცვები, პატარ-პატარა გორაკები, ერთიმეორეზე ტალღებივით რომ გადადის, მზის საჩრდილობელი ქარსაცავი ზეები, ციტრუსები, მწკრივში ჩამდგარი ტოტებგაშლილი მანდარინები, ფორთოხლები...

ყველაზე უფრო ჩაქვი უყვართ ჩაისა და ციტრუსებს. ზღვა დედაა მათი. იგი უგზავნის საამო ჰავას, გაჟღენთილს მასაზრდოებელი სურნელით. ყოველი ჩაის ბუჩქი და ციტრუსის ხე აქ თავის სამშობლოში გრძნობს თავს. საკვებით მდიდარი მოწითალო ფერის მიწაც მათ ასაზრდოებს. ასი წლის წინათ დაითესა ჩინეთიდან მოტანილი ჩაის თესლი და ის ბუჩქები დღესაც თავმომწონედ დგას ლენინის სახელობის ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც 942 ჰექტარი უჭირავს.

1878 წელს მემამულე სოლოვცევმა 2 ჰექტარზე დათესა ჩინეთიდან ჩამოტანილი ჩაის თესლი. გავიდა წლები და ეს ფართობი 120 ჰექტარამდე გაიზარდა, 1900 წელს ადგილობრივმა პირველმა ჩაის ფაბრიკამ თავისი პროდუქცია გაგზავნა პარიზში გამოფენაზე და ოქროს მედალი მოიპოვა.

1921 წელს კერძო პლანტაციების ბაზაზე ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. 1928 წელს ჩაის პლანტაციებმა 550 ჰექტარს მიაღწია, ციტრუსების ნარგავებმა — 150 ჰექტარს.

1932 წელს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ლენინის სახელი ეწოდა.

1935 წელს მეურნეობაში სტახანოვური მოძრაობა დაიწყო. ყველასათვის ცნობილი გახდა ჩაის ფოთლის კრეფის ნოვატორების ფაცია დოლიძის, მარიკა გრიგოლიადის, ტატიანა ცინცაძის სახელები.

გავიდა დრო და ინდივიდუალური ბინებიც აშენდა. ერთად თავმოყრილმა სხვადასხვა ერის შვილებმა, ადრეულ წლებში მეურნეობაში რუსეთიდან, სომხეთიდან, მთიანი აჭარიდან სამუშაოდ ჩამოსულებმა, ადგილობრივმა ბერძნებმა— შეხმატკბილებული ცხოვრება და ერთმანეთის ხელის შეშველება დაამკვიდრეს. ამ ლამაზ, თანამედროვე დაბაში 650 ოჯახის 2500 წევრი ცხოვრობს. ერთმანეთს ეშველებიან შრომასა და ცხოვრებაში, ჭირსა და ლხინში, შვილების დაზრდასა და დასახლებაში, ერთნაირად სარგებლობენ ყველა სიკეთით, რაც მათთვის არის განკუთვნილი, როგორც პატარა ქალაქის მცხოვრებლებისათვის. ბინათმშენებლობა კვლავ გრძელდება, ადამიანები მრავლდებიან.

ჩაქველები ამაყობენ გაგარინის ქუჩით. ეს თანამედროვე, კომფორტაბელური, ლამაზი სახლებით, ხეხილისა და ციტრუსების ბაღებით, საქონლით, შინაური ფრინველით მოფენილი ეზოებით დამშვენებული ქუჩაა.

გულნაზი ველიაძემ ოთხოთახიანი ბინა ააშენა და თავისი ოთხი შვილით დასახლდა. ახლა ის ჩაქვის მკვიდრად თვლის თავს. 120 ძირი მარტო ციტრუსი შრია-

ლებს ოდა-სახლის წინ, საქონელიც ბლომად ჰყავს, როგორც სხვა შუახეველებს. უფროსი ვაჟები შრომაში · ჩააბა, მათი იმედი აქვს. თვეში 200 მანეთს იღებს, გოგონებს ზრდის და ლამაზი კორდების ცქერით დამტკბარი ფოთლით ავსებს ტომრებს. ამიტომაც აბნევია მკერდზე შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენი.

ჩაქვში მექანიზაცია თამამად შემოვიდა. იაპონური ტიპის სამამულო მანქანები ენერგიას უზოგავს ქალებს. განსაკუთრებული ცხარე დღეები დადგა აგვისტოში. შარშანდელთან შედარებით დიდი ჩამორჩენა ამ თვეში უნდა დაეძლიათ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებს. ამ ცხარე დღეებში ჩაქველებს გეგმის შესრულებას ბევრი არაფერი აკლდათ. სექტემბრის პირველ რიცხვებში მათ გეგმა-ვალდებულება შეასრულეს — 3100 ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. მეურნეობის ეკონომისტი ვიქტორ ნიკოლაიშვილი, სალამოხანს შედეგებს რომ აჯამებდა, კმაყოფილებით იღიმებოდა.

— გაგვიმართლეს იმედი ქალებმა, მე-9 ბრიგადამ აგვისტოში შეასრულა წლიური გეგმა, ასევე დაწინაურდა მეხუთე ბრიგადა. ეთერ ბეჟანიძე, გულიკო გოგიტიძე, თამარ ჭალალიძე, ფატი ირემაძე, აიშე გოგრაჩაძე იცავენ ამ ბრიგადის ღირსებას.

გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულა მე-14 ბრიგადამაც, სადაც ნინა სოლდატენკო და მისი მიმდევრები ილვწოდნენ. აგვისტოში ნინოს 17 ტონა ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი, ლიდა ფუტკარაძეს — 13. ლარისა სააკიანს — 16.

არც ვარდო ქობულაძე ჩამორჩა მათ. ვარდო ქედიდანაა, 12 წლის წინათ დასახლდა ჩაქვში. კარგი ხელფასით ლამაზი სახლიც წამოჭიმა.

ვარდო მაღალია, ტანადი, მაგრამ ასწლოვანი ჩაის ბუჩქები წელზემოთ სწვდებოდა, უძნელდებოდა მუშაობა. ბედად, ამ ბუჩქების გაახალგაზრდავება დაიწყეს. 100 ჰექტარი ჩაი მთლიანად ამოძირკვეს ციტრუსების გასაშენებლად. ნერგები გაიზარდა, მსხმოიარე გახდა და იმდენი ციტრუსი მოისხა, რომ რესპუბლიკაში სარეკორდო მოსავალი მიიღეს. ციტრუსების მეურნეობებიც ვერ კრეფენ ჩაქველების ოდენას. რადგან ჩაის კრეფა მექანიზებულია, ამიტომაც ბევრი მკრეფავი აღარც სჭირდებათ, სამაგიეროდ, იზრდება ციტრუსების ფართობები, აი, აქ დაასაქმებენ ქალებს.

მართალია, ჩაის ბუჩქები აიჭრა ციტრუსების სანაცვლოდ, მაგრამ ჩაის მოსავალი ყოველწლიურად იზრდება აგროტექნიკის, მექანიზაციის, ენთუზიასტი მკრეფავების ხარჯზე. ასეთია დღევანდელი დღე ჩაქვის ლამაზ სანაპიროზე. ხალხს სასურსათო პროგრამის შესრულება დაუსახავს მიზნად. მათ ერთხმად აიტაცეს კოოპერირების იდეა. ოჯახები მასობრივად ზრდიან ღორებს, ასუქებენ და 8 თვის მერე სახელმწიფოს აბარებენ. მეცხოველეობის ახალი ფერმა ალმავლობის გზაზეა და კარგ პერსპექტივებს ისახავს. მუშა-მოსამსახურეებს ოჯახში ძროხებიცა ჰყავთ და ფრინველიც.



ნ. სოლდატენკო, ლ. ფუტკარაძე, ვ. ხრიაჩკოვა და ლ. სააკიანი

სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ცინცაძე პენსიონერია, მაგრამ მეურნეობაში ისე რომ არ იშრომოს, როგორც ამ 50 წლის წინათ შრომობდა, ვერ იცოცხლებს.

ეთერ დუმბაძე, სირანუშ ვაშაყმაძე, ტატიანა ცინცაძე და სხვები მოუთმენლად ელიან ჩაქვში ინტენსიფიკაციის დამკვიდრებას, პლანტაციების შეცვლას, ახალი ჯიშის ჩაის „კოლხიდის“ გახარებას, რომელიც ჰექტარზე 14-16 ტონა მოსავალს იძლევა, ნაცვლად დღევანდელი 10 ტონისა. ის თესლით კი არ მრავლდება, ნერგით ხარობს და ცეილონის ჩაის უწევს მეტოქეობას.

ამ დღეს გრიგოლ ტიკარაძეც ელის. მეურნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 19 წელი რომ ხელმძღვანელობდა პარტორგანიზაციას, მერე ჩამორჩენილ ბრიგადას რომ ჩაუდგა სათავეში და ჰექტარზე 36 ტონა ციტრუსი მოიყვანა. ეს ნამდვილი საოცრება იყო! ჰექტარზე 12 ტონა ციტრუსი მოჰყავდათ რაიონში, ჩაქვში —17-18 ტონას აღწევდა მოსავალი, გრიგოლმა კი 36 ტონას გადაამეტა. გრიგოლს „სასწაულები“ უყვარს და ახალი ჯიშის ჩაის გაშენებასაც სასწაულივით ელის.

სუფთად ჩაცმული, თეთრი ქათქათა პერანგით, თავზე ჭილის ქუდით. ის ყოველდღე გამოჩნდება ხოლმე მეურნეობის ფართობებში და მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს, გულით ხარობს, როცა შუადღისას სადილი მოაქვთ მუშებისათვის; იცის, რომ მალე ეს სამი თავი სადილი უფასოდ მიერთმევათ.

ის ყოველდღე ხვდება ადგილკომის თავმჯდომარეს ანა კონსტანტინეს ასულ პენკინას. ძველი მეჩაიე, შემდეგ ბრიგადირი და დღეს განთავისუფლებული ადგილკომის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი ანა პენკინა მეურნეობის ცოცხალი მემატიანეა, მან იცის ყოველ ოჯახში ვინ რით სუნთქვას, ვის რამდენი შვილი ჰყავს და როგორ ზრდის, ვის ჭირდება ხელის შეშველება, პირად ცხოვრებაში თუ შრომაში წახალისება, ფულადი პრემია, საგზური.

დიდი ამაგი დასდო ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ყოფილმა პარტკომის მდივანმა გულნარა ბასილაძემ. იგი სულ ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში აქაურ კომუნისტებს და ბევრი გამარჯვება მოამკევინა. დღეს გულნარა ბასილაძე პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანია, მაგრამ ჩაქვი და ჩაქველები ყველაზე ძვირფასნი არიან მისთვის.

კაცი დაბრძენებული და ჭარმაგი, კაცი გასაოცარი ბუნებისა, მშრომელის დამფასებელი და დამხმარე, ცუღლუტის გამკიცხავი და შემარცხვენელი — ასეთია მეურნეობის დირექტორი ასლან ბეჟანიძე, რომელსაც შეუძლია მაღალ დონეზე მიიღოს უცხოელი სტუმარი, გაჰყვეს მუშას ფართობში, შეამოწმოს მისი შრომა, მერე ჩაჯდეს მანქანაში და იაროს ალმა-დალმა, მთა-გორებში, მივიდეს ყველა ბრიგადაში, ყველა მკრეფავთან და არ დაიქანცოს.

როცა საქმე წინ მიდის, არ იღლებიან.

ლია კაკაბაძე

გოდერძი ჭეიშვილი

# ერთი, ორი, სამი...

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

მიკვირს, ვინც ჩემი ამბავი იცოდა, როგორ მეპატიჟებოდნენ სტუმრად! ნუთუ ყოველთვის ცალყბად მიწვევდნენ, მე კი ვერ ვხვდებოდი? შეუძლებელია. თუ არ უნდოდათ, ვინ აძალებდათ, ბევრს ისე შეეძლო ჩაეტარებინა წვეულება, მე არაფერი გამეგო. მაგრამ, როგორც ახლა ვხედავ, ერთი ჩვევის გამო მეტად სასაცილო ვიყავი და ჩემი სტუმრობაართობდათ და ახალისებდათ. ალბათ იმ კაცივით მიყურებდნენ, არავითარი ნიღაბი რომ არა აქვს აფარებული, მაგრამ შინაგანი თუ გარეგნული თვისებების გამო მისი საზოგადოებაში გამოჩენაც კი საკმარისია მხიარული განწყობის შესაქმნელად... დიასახლისებს, ვის ოჯახშიაც სტუმრად ვყოფილვარ, ყველას, როგორც ეს ჩვენშია მიღებული, გადაჭარბებული, მადის წამხდენი თხოვნა და დაძალება უყვარდათ — ეს გადაიღეთ, ჩემო ბატონო, ის გადაიღეთო, მაგრამ ამას ჩემზე უარყოფითად ერთხელაც არ უმოქმედნია, პირიქით, სუფრასთან დაჯდომიდანვე ჩემი პირის გაჩერება არ იყო, გემოზე ვჭამდი და ვსვამდი. ვჭამდი და თეფშზე ისევ ვათავსებდი ყველგადმოდენილი ხაჭაპურის ნაჭერს, თონის პურს, ყველს, კიტრისა და პამიდვრის სალათას — წიწაკა და მწვანილი რომ ჰქონდა წაჭრილი, ქმარი მადის ალმძვრელად მოსხურებული. ერთი სიტყვით, მადიანად გეახლებოდით ყველაფერს, რაც მომწონდა, ხორცის გარდა. და რაც მთავარია, ვითვლიდი (ამას დიდი ხანია, ბავშვობიდანვე ვამჩნევდი საკუთარ თავს, მაგრამ ყურადღება რატომღაც არასოდეს არ მიმიქცევია), რის გამოც არა შემემთხვა ერთ სუფრაზე: თანამშრომელი ქალის ქმარი სამსახურში დააწინაურეს და ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად გამართულ შინაურულ წვეულებაზე მეც ვიყავი მიპატიჟებული, როგორც დიასახლისის უშუალო უფროსი გამომცემლობის კადრების განყოფილებაში. ჩემ ახალგაზრდა თანამშრომელს (მე მაშინ ოცდაათისა გახლდით, ის კი ხუთი წლით უმცროსი იყო) ტოლი არაფერში დაუდევს იმ დიასახლისებისათვის, აქამდე რომ ერთი და ორი არ შემხვედრია ჩვენში, პირიქით, მათზე გაცილებით გულწრფელ, მომხიბლავ შთაბეჭდილებას ახდენდა, პატივმოყვარეობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, ისე დაგვტრიალებდა თავს, როგორც საბავშვო ბაღის კარგი აღმზრდელი თავის პატარებს. უნდოდა არავინ დარჩენოდა უყურადღებოდ. ვერც მეშჩანობას დასწამებდით და ვერც კოკობზიკობას. მისი, შეიძლება ითქვას, ოდნავ ზედმეტი აქტიურობა მხოლოდ ქმრის დაწინაურების გამო სიხარულისა და ალბათ ნაწილობრივ გამოუცდელობის ბრალიც იყო. ჰოდა, ერთხელ (სწორედ მაშინ მოხდა ის ამბავიც) მაგიდას თვალი რომ მოავლო, ოდნავ წყენით თქვა, რას შვრებით, ხალხნო, გადაიღეთ, მიირთვით, თორემ ვეჭვიანობ, ალბათ არ მოგეწონათ ჩემი ნახელავიო. — ყველაფერი საუცხოოა! სუფრაც ამას ჰქვია! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან, — კიდეც ვჭამთ, კიდეც ვსვამთ, მაგრამ მაინც არაფერი აკლიაო. ოჰ, კარგით ერთიო. ასეა, ნამდვილად ასეაო. რაღა თქმა უნდა, ესიამოვნა და დამორცხვებულმა ნაზი, უწყინარი უკმაყოფილებით სავსე თვალები ჩემზე შეაჩერა: გიგი, თქვენც ხელდაკრეფილი ზიხართ? რას ამბობ, ყელამდე ვარ-მეთქი, ვუთხარი და სულმოუთქმელად ჩამოვკუთვალე, რომ შევჭამე ხუთი ნაჭერი ხაჭაპური, სამი ნაჭერი თონის პური და სულგუნი, დავლიე ცხრა ჭიქა ღვინო, ერთი ბოთლი ბორჯომი და ასე შემდეგ... დიასახლისი კი დამრჩა კმაყოფილი, როგორც წინათ სხვა დიასახლისები, ასე მეჩვენებოდა, მაგრამ თამადის მოადგილემ, ერთ-ერთი ინსტიტუტის ლექტორმა, ბატონმა თორნიკემ, — სიმპათიურმა, მაღალმა, ათლეტური აღნაგობის კაცმა, რომელიც ახალგაზრდობაში უძლიერეს ფრენბურთელად ითვლებოდა საქართველოში (მინახავს მისი თამაში, პირადად კი იმ საღამოს გავიცანი) ჩემს ნათქვამს რომ მოჰკრა ყური, გაკვირვებით მკითხა:

— დაითვალეთ, ყმაწვილო?!

— რა ბრძანეთ?

— დაითვალეთ-მეთქი, რა და რამდენი მიირთვით?

— ჰო, არა, მე... ჰე, ჰე...

— საინტერესოა!

— რა არის საინტერესო? — ჰკითხეს ლექტორს გვერდით მჯდომმა ქალებმა, რომლებსაც ეტყობოდათ, ჩვენი დიალოგის ძირითადი ნაწილი არ გაუგონიათ. ეს ყმაწვილი თურმე ითვლისო! — უპასუხა ქალებს ლექტორმა. რას ითვლისო? რას და, რამდენსაც ჭამს და სვამსო, მიუგო მათ ლექტორმა. ქალები აკისკისდნენ. ლექტორს არ გასცინებია, მხოლოდ იღიმებოდა და ხან უნდოდა, ხან სიბრალულით მიცქეროდა, უფრო სწორად, ისე, ფსიქიატრები სულით ავადმყოფებს რომ უცქერიან ხოლმე. ქალები სიცილს განაგრძობდნენ. ამათი დასაცინი ვინ არის — მეთქი, — გაცეცხლებულს სისხლი თავში ამივარდა, ჭიქას ხელი მოვუჭირე, თვალი თვალში გავუყარე ლექტორს, მინდოდა ღვინო სახეში შემესხა მისთვის. ლექტორი ალბათ მიხვდა, კარგი ამბავი არ დატრიალდებოდა, სახიდან „თხის“ ღიმილი უმალ მოიშორა და გამოგონილი სერიოზული გამომეტყველებით თამადას მიაჩერდა, თითქოს ძალიან აინტერესებდა ახალი სადღეგრძელოს მოსმენა, რომელსაც ის ამბობდა. ქალებიც იქით მიახედა. („თხის“ ღიმილს ან „თხისებრ“ გამოხედვას თეატრალურ ინსტიტუტში, როგორც ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებული ერთი ნაცნობი მეუბნებოდა, თურმე პარტნიორის სახის უაზრო გამომეტყველებას ეძახიან. მომეწონა ეს გამოთქმა და მას მერე, როცა ვინმეზე ვარ დაბოღმილი, ხან ხმამაღლა, ხან კი ფიქრში ამ ეპითეტით ვამკობ ხოლმე). ლექტორს ჩემსკენ არ გამოუხედავს, ისევ თამადას მისჩერებოდა. ჭიქა დავდგი და სიტყვებს დავუწყე ძებნა, მაგრამ ენა დამება, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. მასპინძლის ხათრითაც შევიკავე თავი. თამადა მაღალფარდოვანი სიტყვებით რაღაც სადღეგრძელოს ამბობდა. ყველას თვალი და ყურადღება მისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ამით ვისარგებლე და ოთახიდან გავედი, აივანზე განვმარტოვდი... სუფთა ჰაერმა და სუნთქვითმა ვარჯიშმა გუნება გამომიკეთა და იმდენად დავმშვიდდი, რომ უკვე სალად შემეძლო ფიქრი და განსჯა, საკუთარ თავში ყოველივე იმის მიზეზის ძებნა, რაც წელან მოხდა. სიგარეტს მოვუკიდე და მოგონებებში ჩავიძირე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც გამგზავრების დღეს მამა ამბობდა, ომის დამთავრებამდე უნდა დავრჩენილიყავით მის მშობლიურ დაბაში, პაპიჩემისეულ სახლში, ხეხილიანი ეზო, ბოსტანი და სიმინდის პატარა ყანა რომ ჰქონდა, და მერე ისევ თბილისს დავუბრუნდებოდით. მაგრამ ისე მოხდა, რომ მთელი შვიდი წელი, მოყოლებული მეორე კლასიდან მეცხრემდე, იქ გავატარე... დილით მე და მამა ერთად მოვდიოდით სკოლაში. მამამ საოცრად დინჯი, ხელი სიარული იცოდა, მოსაკლავადაც რომ გამოდევნებოდი, მგონი მაშინაც არ მოუჩქარებდა ფეხს. ვერ ვითმენდი და გზაზე ყოველთვის ათი, თხუთმეტი ნაბიჯით წინ ვუსწრებდი. სკოლის ჭიშკართან რომ მივიდოდი, შევჩერდებოდი, დაველოდებოდი მის მოსვლას და ეზოში ის პირველი შედიოდა. — თვითონ დამარიგა, ასე მოვქცეულიყავი. მამას სწორტერფა ფეხები ჰქონდა, მახსოვს დედაჩემის ნათქვამი: კიდევ კარგი, შენ არ გამოგყვა ასეთი ტერფებიო. რით იყო ეს კარგი ან ცუდი, მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ მაინც უფრო კარგი მეგონა, რადგან, როგორც დედამ დასძინა, მამა სწორედ ამის გამო არ წაუყვანიათ ფრონტზე. მოგვიანებით დედაჩემისაგან ისიც გავიგე, რომ *pes peanus* თურმე შთამომავლობაზე გადადის და მე თუ არ გამომყვა, ჩემს შეილებს შეიძლებოდა გამოჰყოლოდათ. დედაჩემი ექთანი იყო, სამეანო ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული და სამშობიარო სახლში მუშაობდა, მამა კი პედაგოგი, დედაენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ორ ცვლაში ჰქონდა გაკვეთილები და საღამომდე არ ბრუნდებოდა შინ. დედა, ლამაზი, ახალგაზრდობიდანვე ჭაღარა ქალი, როცა მორიგეობიდან თავისუფალი იყო (კვირაში ორჯერ უწევდა მორიგეობა), ერთთავად შინ საქმიანობდა: აკერებდა ნინდებს და საცვლებს, რეცხავდა სარეცხს, აუთოებდა, ხან ოთახებს ჰგვიდა, ხან ეზოს, ხეებიდან ჩამოცვენილი დამპალი ნაყოფით ან ხმელი ფოთლებით რომ მოიფინებოდა ხოლმე, ამზადებდა ბოსტნეულის შეჭამანდს, ძმრიან ჭინჭრის ფხალს. ჭინჭარი, იქვე ახლოს ღელე ჩამოდიოდა და, მის ნაპირებზე გვიმრასავით იყო მოდებული. ჭინჭრის ფხალი ბავშვობიდანვე უყვარდა თურმე დედას. ერთხელ მაინც გასინჯე, ნახე რა გემრიელიაო, მეტყოდა ხოლმე, თუ სადილად სხვა არაფერი გვქონდა, მშიერი რომ არ დავრჩენილიყავი. მე კი ზიზღით ვიბრუნებდი თავს, რადგან, მთლად პატარა ვიყავი, ჭინჭარმა რომ წვივები ამისუსხა. დღემდე არ დამვიწყებია ის სიმწარე და ახლა, — ვჭამდი კი არა, დასანახავადაც მეჯავრებოდა. მაგრამ ფაფა, დედაჩემის მიერ დამზადებული ფაფა სულ სხვა რამე იყო, უგემრიელესად მეჩვენებოდა, ახლაც სიამოვნებით მივირთმევდი!.. დედაჩემი ფაფას მეზობლისგან წამოღებული წურუქათი ამზადებდა. (წაქას გურიაში წურუქას ეძახიან). დედა წურუქას თუჯის დიდ ქვაბში ჩაასხამდა და შუაცეცხლზე მდგარ რკინის სამფეხზე დადგამდა. ადუღებულ წურუქაში ჯერ სიმინდის ფქვილს ჩაყრიდა, მერე მარილს და ხის კოვზით დროგამოშვებით მანამ ურევდა, ვიდრე კარგად არ ჩაშუშდებოდა, უფრო სწორად,— ფსკერზე მოწვამდე. (ქვაბის ამოფხეკა ჩემი საქმე იყო, ამონაფხეკის ჭამისას, როგორც იტყვიან, თითებს ვიკვნეტდი ხოლმე). დუღილისაგან ახვარხვალებული ფაფის ცქერა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. ბუშტები ზედიზედ სკდებოდა და ცხელ შხეფებს ფანტავდა ირგვლივ. სახეზე ან ხელზე არ მომხვდეს-მეთქი და გართობის ჟინმორეული დაძაბული ვხტოდი აქეთ-იქით. ეს თავისებური თამაში იყო, თამაში ჩემი და ფაფის ბუშტებისა, გასკდომისას რომ შხეფებს ისროდა და ისე მეგონა, ვულკანს ვეთამაშები-მეთქი... დედა ხის კოვზით კიდევ რამდენიმეჯერ ამოურევდა, ფქვილი მოკურკუშებული ხომ არ დარჩაო, ცოტა ხანს დააცდიდა და ფაფაც მზად იყო...

სიმინდის ფქვილით დამზადებულ ამ შეჭამანდს მადიანად შევექცეოდი, ჭადს კი, დედა რომ თითქმის ყოველდღე აცხობდა, ვერაფრით ვერ შევეჩვიე. პურს წიგნაკებით ვიღებდით. სამივეს, მე, დედას და მამას, როგორც მახსოვს, ერთი კილო თუ ცოტა მეტი გვიწევდა. მეოთხე კლასში რომ გადავედი, პურის საყიდლად თითქმის ყოველთვის მე დავდიოდი, დილის ექვს საათზე უკვე მაღაზიის წინ რიგში ვიდექი. ერთხელ, ხანგრძლივი, კოკისპირული წვიმის შემდეგ გზაზე ნიაღვარი მიედინებოდა. პური იღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიაში მქონდა ამოდებული და ნიალვარში გზას მოვიკვლევდი. უცბათ ქვაზე ფეხი დამიცდა და წავიქეცი. პური ხელიდან გამივარდა და წყალმა წაიღო. ავდექი და გამოვედევნე, ისევ წავიქეცი, კვლავ წამოვდექი და როგორც იყო, გამოვტაცე წყალს პური, მაგრამ ის უკვე საჭმელად აღარ ვარგოდა. სახლში მუხლებგადატყავებული, ატირებული და შეშინებული დავბრუნდი. მაგრამ დედა, როცა ვუამბე, ასე და ასე შემემთხვა-მეთქი, არ გამჯავრებია, პირიქით, მომეფერა, დამბანა და სხვა ტანსაცმელი ჩამაცვა, პური კი, ტალახში მოსვრილი, მღვრიე წყლით გაჟღენთილი პური მეზობელ ქალს მისცა ძროხის საჭმელად, იმ ქალს, ნურუქას რომ გვაძლევდა ხოლმე.

მოვიტანდი პურს და დედა ნაჭრებად გაყოფდა.

— ეს მამას! — ორ ნაჭერს ცალკე თეფშზე დადებდა.

— ეს შენ! — უფრო დიდ ორ ნაჭერს მე მაძლევდა.— ჭადსაც უნდა შეეჩვიო, შვილო... ეს მე! — დედას ყველაზე პატარა ნაჭრები ხვდებოდა. — მე და მამა ჭადსაც კარგად ვჭამთ... ჭადი, შვილო, პურზე ნაკლებად მარგებელი როდია, პირიქით... ეს კი დილისათვის! — პურის მესამედს თავდახურულ ქვაბში ინახავდა, რომ არ გამხმარიყო.

ჩემს წილ პურს ყოველთვის ექვს თხელ ნაჭრად ვჭრიდი. ორ ნაჭერს სკოლაში წასვლამდე ვჭამდი, ორს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ და ორსაც სალამოთი ფაფას ან უშაქრო ჩაის შევატანდი ხოლმე. ფაფას კვახის გამხმარ ქერქში ვასხმევინებდი დედას, თეფშზე უფრო კვახის გამხმარი ქერქი მიყვარდა. თითქოს ფაფას გემო უკეთესი ჰქონდა.

იმ დღეს, კარგად მახსოვს, შაბათი იყო, სკოლიდან დაბრუნებულს დედა შინ არ დამხვდა, მეზობელთან იყო გადასული. ავიღე ჩემი ორი ნაჭერი პური, ერთზე ყველის ნაჭერი დავადე და მარჯვენა ხელში დავიკავე, მეორე ნაჭერი მარცხენაში და კიბეს ჩავუყევი, თან ვილუკმებოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ჭამას რომ მოვრჩებოდი, ქუჩაში გავსულიყავი ამხანაგებთან სათამაშოდ. ყველმა მომაწყურა, ჭასთან მივედი. ჭა ჭიშკართან იყო, წყალი ამოვიღე და პირდაპირ ვედროდან მოვსვი. მერე ჭიშკარზე შევდექი და ქუჩას გავხედე, ხომ არ თამაშობენ-მეთქი. ქუჩაში არავინ ჩანდა. მალე მზე ალვის ხეებს მოეფარება და ბიჭებიც გამოვლენ სათამაშოდ-მეთქი, გავიფიქრე და ჭამა განვაგრძე. კვლავ მომწყურდა. ისევ ვედროდან მოვსვი წყალი და ეზოდან გავედი. ქუჩაში ბიჭი დავინახე, მხარზე ბალახის კონა მოეგდო და ტრიფოლიატის ღობეს მოჰყვებოდა ჩანდურ-ჩანდურით, წინ შავი ძაღლი მოუძღვოდა. ბიჭს შორიდან ვიცნობდი, ჩემზე ოთხიოდე წლით უფროსი იქნებოდა, ზემოთ ცხოვრობდა, აგარაკში. ბიჭი რომ მომიახლოვდა, შეჩერდა და გამიღიმა. თეთრი, სხვადასხვა ფერის სალებავით დასვრილი მოკლე სახელოებიანი მაისური და დიდი ზომის ჩაფართხუნებული შარვალი ეცვა, ალბათ მამამისის იყო, ქამარი ჯიბეებზე შემოეჭირებინა. მოკაუჭებული ცხვირი, ვიწრო სახე და წვრილი კისერი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური ჩავკბიჩე, ყველზე მოვციცქნე და ისევ ბიჭს შევხედე, უცნაურად რომ მიღიმოდა. ბიჭმა ნერწყვი გადაყლაპა და გამიცინა.

— რა გაცინებს?

არაფერი უპასუხნია, ნერწყვი ისევ გადაყლაპა და კვლავ სულელურად გამიცინა, ასე მომეჩვენა. ძაღლი ხან ჩემს ირგვლივ დარბოდა, პურის ნაფჩხვენებს დაეძებდა, ხან უკანა ფეხებზე შემდგარი წკმუტუნით მთხოვდა პურს. ფრჩხილის ტოლი პური მოვუტეხე და მაღლა ავისროლე. ძაღლი ახტა და დაიჭირა.

— შენია?

ბიჭმა თავი დამიქნია. ქამარზე ძაფით სამი პატარა თევზი ეკიდა.

— ეგ თევზები სად დაიჭირე?

— ქვევით.

— სად ქვევით?

— პანე მომიტეხე და გეტყვი.

— აჰა, — მოვუტეხე და მივეცი.

— ფიჩორში დევიჭირე.

— ფიჩორში? სად არის ფიჩორი?

— შორსაა.

— დიდი მდინარეა?

— ისე რა... — ბიჭმა ჩემს მიერ მიცემული ერთი ლუკმა პური გადაყლაპა, ისევ გამიცინა და ხელებში შემომაცქერდა. — აბა თუ იცი, — თქვა უცებ. — რატომაა ახლა იქ მწვერვალები და ცა მოწითალოდ განათებული?

— სად?

— კავკასიონზე.

— მზის სხივებისგან.

— კი აბა!

— მაშ რატომაა?!

— პანეს თუ კიდო მომიტეხავ, გეტყვი.

მოტეხვად არ ღირდა, ავიღე და მივეცი. ბიჭმა მაშინვე პირისკენ გააქანა, მეორე ნაჭერ პურს, ხელში რომ მეჭირა, ყველი დავადე და მოვკბიჩე.

— რატომაა და, — დაიწყო ბიჭმა ლეჭვა-ლეჭვით, — ჩვენები და გერმანელები ცეცხლს უშენენ ერთმანეთს, ცეცხლმა შეაფერადა იქაურობა.

— ეს ხომ მეც ვიცოდი.

— თუ იცოდი, ვერ თქვი? ვინ დაგიშალა!

ბიჭმა უცბათ ხელზე ხელი დამკრა და პური და ყველი დამაგდებინა.

—რას შვრები?! — ვთქვი დაბნეულმა და პურისა და ყველის ასაღებად დავიხარე. ყველთან ძაღლმა მიმასწრო და პურისკენ გავიწვდინე ხელი, მაგრამ ამ დროს ბიჭი დამახტა თავზე და ცხვირი მიწას დავკარი .სისხლი წამსკდა, ტკივილი კი მაშინ მაინცდამაინც არ მიგრძვნია, პირქვე გავიშოტე მიწაზე და მუცლით პურს დავაწექი, ბიჭს რომ არ წაერთმია. ბიჭმა მარცხენა ხელი ყელში ამომდო და თავი ოდნავ ზევით ამიწია, მარჯვენათი კი პურის გამოთრევას ცდილობდა.

— ხელი გამიშვი! — ვხრიალებდი, მაგრამ ბიჭი პირიქით, უფრო და უფრო აჭანდა ძალას თავის ხელს, ოღონდ ჩემი დაღრჩობა კი არა, გადმობრუნება უნდოდა. გამხდარი იყო, მაგრამ ძალზე ღონიერი. ყელში მეორე ხელიც ამომდო, გადამაბრუნა და ხელი პურისკენ წაიღო. გამწარებულმა არც ვაციე და არც ვაცხელე, ქამარს ქვევით წიხლი ჩავარტყი და აკვნესებული იქვე ჩაჯდა. ძაღლმა დრო იხელთა, პურს პირი დასტაცა და გაარბენინა.

მე და ბიჭი ერთდროულად წამოვდექით. გაფითრებული იყო, აჩქარებულად სუნთქავდა. აღარ კვნესოდა, ალბათ ტკივილმა გაუარა. მტვერში მოსვრილი შარვალი გაიფერთხა და ქამარზე ჩამოკიდებულ თევზებს დახედა. ჩვენს ბურხლაობაში ერთ თევზს კუდი ნასწყვეტოდა. ბიჭმა თავი გააქნია, ბალახის კონა აიღო და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, მოიხედა.

— ხვალ თუ გინდა ,წამომყევი ფიჩორზე, ვითევზაოთ.

— მოშორდი აქედან! — აცრემლებული ქვას დავწვდი. ბიჭი გაიქცა და მოსახვევს მოეფარა.

ბოლმა თითქოს ცხვირშიაც მაწვებოდა, სისხლი ისევ მდიოდა. ეზოში შევედი და სახე წყლით მოვიბანე. დედას რომ ისე, სისხლში მოსვრილი და ცხვირპირგასიებული ვენახე, შეიცხადებდა. სიმინდებში შევედი, სახეზე სველი ცხვირსახოცი დავიფარე და მიწაზე წამოვწექი. ცხვირსახოცი კიდევ რამდენჯერმე დავასველე, დედაჩემისგან ვიცოდი, ასეთ შემთხვევაში სველი საფენი რომ მისწრება იყო და მეც მიშველა, შესიებული ცხვირ-პირი დამიცხრა, ატყავებული ადგილები კი ისევ მეწვოდა... ელდა რომ არ სცემოდა, შინ ფეხის შედგმისთანავე ვუთხარი დედას, დავეცი-მეთქი. ღმერთო მომკალიო, შესძახა დედამ, მაშინვე იოდი წამცხო და შემიხვია. მიჯავრდებოდა, თვალებდახუჭული დადიხარო, თან სწუხდა, ალბათ ბევრი სისხლი დაკარგეო!.. .

საღამოს, ვახშმად რომ დავსხედით, ისევ უგუნებოდ ვიყავი. ცხვირზე გადახვეული დოლბანდი თვალებში მებლანდებოდა, თითქოს თვალებიც ახვეული მქონდა. გადატყავული ცხვირი და სახე ახლა კიდევ უფრო მტკიოდა. ასე სცოდნია, შემდეგ და შემდეგ მეტად გრძნობ თურმე ტკივილს!.. მართალია, ყველაფერი ბიჭის ბრალი იყო, მაგრამ რატომღაც მე მაინც ძაღლზე ვიყავი გაბრაზებული. ვჭამდი და გემოს ვერ ვატანდი, დაულეჭავად ვყლაპავდი ლუკმებს. ჩემი ორი ნაჭერი პური რომ შევჭამე, დედამ თავისი არჩივიდან ერთი ნაჭერი გადმომიდო და მითხრა:

— აჰა, კიდევ ერთი ნაჭერი.

— არ მინდა, მე ხომ ჩემი ორი ნაჭერი შევჭამე.

— აიღე, აიღე!

— არა, არა!

— აიღე! — მკაცრად მითხრა მამამ.

— აიღე, შვილო, აიღე! — დამიყვავა დედამ. — დაკარგულ სისხლს აღდგენა უნდა, ჭამე, ჭამე!

ავიღე და შევჭამე...

მეორე დილას კვლავ წავედი პურის მაღაზიაში. მოვიტანე პური. დედამ ისევ ნაჭრებად გაყო.

— ეს მამას! — ორი ნაჭერი ცალკე თეფშზე დადო.

— ეს შენ! — ორი უფრო დიდი ნაჭერი მე გადმომიდო. — ეს მე! — დედას ისევ ყველაზე პატარა ნაჭრები ერგო...

...მუსიკის ხმამ ფიქრიდან გამომარკვია. სუფრისკენ გავიხედე. აშლილიყვნენ, თამადას შესვენება გამოეცხადებინა. სტუმართა უმრავლესობა ცეკვავდა, დანარჩენები ფანჯარასთან მიმდგარიყვნენ, სავარძლებში ისხდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და მასლაათობდნენ. აღარავის ახსოვდა ჩემი არსებობა, თუმცა არც თვითონ ვიყავი გართობის გუნებაზე. „კიდევ კარგი, წელან თავი შევიკავე, თორემ ვინ იცის, უარესად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი“. — ვფიქრობდი მოძმარული. „რას ვერჩოდი იმ კაცს, ცამდე მართალი იყო. მისი დიდი მადლობელი ვარ, საკუთარი თავი რომ დამანახა. მაინც რა სიბრიყვე იყო! ვის სჭირდებოდა შენი სულელური ჩვევის დემონსტრირება, დრომ რომ უსიამოვნო მოგონებად დაგიტოვა!“

ოთახში ისევ ცეკვავდნენ. აივნიდან გამოვიძურწე. მინდოდა უჩუმრად გავცლოდი იქაურობას. ჰოლში საკიდრიდან ლაბადა რომ ჩამოვხსენი და კარისკენ გადავდგი ნაბიჯი, სამზარეულოდან გამოსული დიასახლისი შემეჩეხა.

— როგორ, მიდიხართ?!

— ჰო, წავალ.

— რა გეჩქარებათ?

— რაღაც ვერა ვარ კარგად, გულმა შემაწუხა.

— აჰ, რას მეუბნებით! ვალიდოლს მოგცემთ.

— არა, არა. სჯობს სუფთა ჰაერზე გავიელი. ყველაფერი მშვენიერი იყო. დიდი მადლობა აბა, ნახვამდის. — ხელზე ვეამბორე, კარი გამოვაღე და კიბეზე დავეშვი...

იმ საღამოს შემდეგ თითქმის თხუთმეტმა წელმა გაწვლო და ახლაც, როცა კი მომაგონდება, როგორც იტყვიან, სიმწრისაგან კბილებიდან ოფლი გამომდის ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალის პორტრეტი



შემიძლია ვთქვა, რომ ეს ქალი ქუჩაში არავის შეხვედრია. მისი სურათი 1974 წლის 16 იანვარს შუალამისას არის გადაღებული. ფოტოგრაფის სახელი და გვარი კი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერაა.

მაშასადამე, ამ უნიკალურ სურათზე სტატისტიკური ქალია გამოსახული და მისი სახით საბჭოთა ლატვიის ქალთა საერთო თვისებებია მოცემული.

ჯერ ერთი, ეს მშრომელი ქალის პორტრეტია. რესპუბლიკის ათი შრომისუნარიანი ქალიდან ცხრა ან სწავლობს ან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაშია ჩაბმული. ძნელია დაასახელო დარგი, სადაც ქალი არ მუშაობდეს. ყველა ასი მშრომელი ქალიდან სამოცი ფიზიკურად შრომობს, ორმოცი კი გონებრივად. ბევრ საქმეში უპირატესი როლი ქალებს ეკუთვნით. იმ ოცდათერთმეტი დარგიდან, სადაც ქალები ფიზიკურად მუშაობენ, თექვსმეტში ქალები არიან დასაქმებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ჩვიდმეტი დარგიდან კი, სადაც გონებრივად შრომობენ, თერთმეტზე მეტში ქალები მონაწილეობენ. დარგები, რომლებშიც ყველაზე მეტი ადგილი ქალებს უჭირავთ, მედიცინა (ყოველი ათი მედიკოსიდან ცხრა ქალია) და განათლებაა (ყოველი ათიდან — რვა ქალი). ქალები ხალხს კურნავენ, ასწავლიან, ზრდიან. ისინი აცმევენ და აჭმევენ ხალხს, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში მომუშავეთა ოთხი მეხუთედი ხომ ქალები არიან (ნოქრები — 95 პროცენტი, მზარეულები — 92 პროცენტი). იურიდიული დარგის დაწესებულებათა პერსონალის ნახევარზე მეტი ხომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები გახლავთ. მათ ხელთ უპყრიათ აგრეთვე დაგეგმვა და ეკონომიკა. საწარმოთა საგეგმო და საფინანსო, აგრეთვე ეკონომიკურ განყოფილებათა ხელმძღვანელების ორ მესამედს ქალები შეადგენენ. ყველა მოლარის, ეკონომისტის, ბუღალტრის, აღმრიცხველის 90 პროცენტი ქალია.

სტატისტიკური ცნობებით, ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში მომუშავე კაცთა რიცხვი მხოლოდ ერთი მესამედია. ხელოვნების სარბიელზე დასაქმებულ ქალთა და კაცთა შეფარდება ასეთ სურათს იძლევა: ყოველი ასი კომპოზიტორიდან, რეჟისორიდან, მსახიობიდან, დირიჟორიდან ოთხმოცი ქალია.

იმას, რომ გონებრივი შრომის სფეროში ქალებს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ, მოეძებნება ლოგიკური გამართლება, მაგრამ ცუდია, რომ მასწავლებელი, აღმზრდელი, ექიმი კაცები ასე ცოტანი არიან.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ საფეიქრო მრეწველობაში უმთავრესად ქალები მუშაობენ, რომ სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში სჭარბობს მათი რიცხვი (მწველავთა 97 პროცენტი ქალია და ა. შ.), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მშენებლობაზე მომუშავე ქალთა რიცხვი 14 პროცენტია, გზათა მშენებლობაზე — 17, რკინიგზის ტრანსპორტზე — 38, მეტალურგიაში კი — 20 პროცენტი. დამლაგებლებად, სანიტრებად, მეგარდეროფეებად უმთავრესად ქალები მუშაობენ, ხელმძღვანელ სამუშაოებზე კი — კაცები. მაგალითად, საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოებზე მომუშავეთა უმეტესი ნაწილი ქალები არიან, მთავარ ინჟინრებად და სხვა მთავარ სპეციალისტებად კი ქალთა მხოლოდ 15 პროცენტი მუშაობს. ზოოტექნიკოსთა, აგრონომთა, ვეტერინართა 62 პროცენტს ქალები შეადგენენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა პოსტზე კი მათ ნაკლებად ვხედავთ (7,6 პროცენტი)... ეს ყველაფერი ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ქალთა როლი, ნიჭი და უნარი საეჭვო იყოს. უდავოა, რომ ქალს დიდებულად შეუძლია ყველა პროფესიის დაუფლება.

**ი. ვიტოლსი,**

**ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.**

# დედების მხარდამხარ

დედისთვის ზრუნვა ბავშვებისათვის ზრუნვასაც ნიშნავს. დიდი საბავშვო ბაღი, რომელიც აქ რამდენიმე წლის წინათ ააშენეს, ქალაქ კანდავის ქალებს მრავალი საკითხის გადაწყვეტაში დაეხმარა. რადიოკვანძების ადგილობრივი ქარხანა ამ ახალი საბავშვო დაწესებულების მთავარი შეფი გახდა. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, ქარხანას საბავშვო ბაღისთვის უარი რომ ეთქვას დახმარებაზე. ასეთსავე გულისხმიერებას იჩენს ბაღი ქარხნის მიმართ, რაც, უპირველესად, მუშათა ბავშვებისათვის ყოველდღიური ზრუნვით გამოიხატება.

კანდავა დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ ქარხნიდან, რომლის ტერიტორიაზე მუშათა საცხოვრებელი სახლების ნაწილი მდებარეობს, ქალაქის მეორე ბოლომდე — საბავშვო ბაღამდე ორი-სამი კილომეტრი მაინც იქნება. კარგ ამინდებში, როცა საჩქარო არაფერია, კიდევ არა უშავს, ჯანდაბას ეს მანძილი, მაგრამ რომელ დედას არ ეჩქარება დილით? ბავშვი ბაღში რომ წაიყვანო და უკანვე მოიყვანო, ამას ერთი საათი მაინც უნდა, ამასთან, ბაღშიც და ქარხანაშიც მუშაობა დილის 7 საათზე იწყება.

არ შეიძლება ეს ამბავი ქარხნის ქალთა საბჭოს უყურადღებოდ დაეტოვებინა, თუმცა პრაქტიკულად საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ადმინისტრაციის დახმარებით შეიძლებოდა. და აი ახლა ყველა მიჩვეულია იმას, რომ ყოველ დილით ავტობუსს ქარხნის სამივე საცხოვრებელი სახლის ბავშვები ბაღში მიჰყავს, იქიდან კი, დედებთან ერთად, უკანვე მოჰყავს. იმათ, ვინც თავიანთი ბავშვები აუცილებლად უნდა მიაცილონ ბაღამდე, ადმინისტრაციისა და პროფკომის თანხმობით, ნება ეძლევათ მუშაობა ერთი საათით გვიან დაიწყონ.

კანდავის რადიოკვანძების ქარხნის მუშა ქალები არ ცდილობენ თავიანთი შვილები რაც შეიძლება ადრეული ასაკისანი შეიყვანონ საბავშვო ბაღში. მათ იციან, რომ განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვს სწორედ დედის სითბო, დედის მზრუნველობა სჭირდება. მაგრამ თუ ოჯახი დიდია და ორი-სამი წლის მანძილზე მარჩენალი მხოლოდ მამაა, შემოსავალი ხომ საგრძნობლად იკლებს. ბევრი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა მხოლოდ დედებს აწევთ მხრებზე. ასეთ შემთხვევაში ქარხანას დედებისთვის ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმი აქვს დაწესებული: მათ საშუალება ეძლევათ მთელი დღე საწარმოში არ დაჰყონ და სამუშაო ოჯახშიც შეასრულონ. მართალი უნდა ითქვას, ისეთი სამუშაო, რომლის ოჯახში შესრულება შეიძლებოდეს, ქარხანას განუსაზღვრელი რაოდენობით არა აქვს, ამის მსურველი კი საკმაოდ ბევრია. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ამგვარი საქმე უპირველესად იქ იმ დედებს მისცენ, ვისი ბავშვებიც ჯერ საბავშვო ბაღის ასაკისანი არ გამხდარან.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ქალს — დედას ირგვლივ მყოფნი მაშინ შეამჩნევენ ხოლმე, როცა რაიმე დახმარება დასჭირდება, როცა ვერ სძლევს თავის მოვალეობას. მაგრამ თუ ის კარგად ზრდის თავის ორ თუ სამ შვილს და შრომით და საზოგადოებრივი მუშაობით კი განსაკუთრებულად არ გამოირჩევა, არ უნდა შევამჩნიოთ? თუ დედა კარგად ზრდის შვილებს და ქარხანაშიც კეთილსინდისიერად შრომობს, ეს პატარა საქმე როდია, არ არის სავალდებულო მას განსაკუთრებული წარმატებები, განსაკუთრებული აქტივობა მოვთხოვოთ. რადიოკვანძების ქარხნის ქალთა საბჭოს დედათა საპატიო დაფა აქვს შემოღებული. ამ დაფაზე ისინი არიან გამოკრული, ვინც კარგი დედაა, ვინც შვილებსაც კარგად ზრდის და კეთილსინდისიერადაც შრომობს. ეს კი ხელს უწყობს ქალისადმი, — მშრომელისა და დედისადმი, — განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას.

ერიკა პოდნიეკი



# ცაცა ამირეჯიბის გახსენება

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ცაცა ამირეჯიბის სახელი ყველასათვის ცნობილია. ის ერთი იმათგანია, ვინც რევოლუციამდელი ქართული თეატრის ჯოჯოხეთურ პირობებში, უფროს თაობასთან ერთად, საკუთარ მხრებით ზიდა ქართული თეატრის ბედი, დაბლა არ დახარა ჭეშმარიტი ხელოვნების დროშა.

ცაცა ამირეჯიბმა (1888-1975) თეატრალური განათლება მოსკოვში ხალუტინის სტუდიაში მიიღო. იქ მხოლოდ ორ წელიწადს სწავლობდა და უსახსრობის გამო მალე ისევ თბილისში დაბრუნდა. 1911 წელს ლადო მესხიშვილმა და ვალ. გუნიამ ის ქუთაისის თეატრში მიიწვიეს. ამრიგად, ახალგაზრდა მსახიობი უნიჭიერეს ოსტატთა გვერდით მოხვდა და ბევრი საუკეთესო როლიც განასახიერა. ქუთაისის შემდეგ ცაცა ბაქოს ქართულ დასში მუშაობდა.

ქ-ნი ცაცა თორმეტი წელიწადი მეტად მძიმე პირობებში ემსახურა ძველ თეატრს. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამ დღიდან სასიკეთოდ შეიცვალა ხელოვნების ბედი. ახალგაზრდა მსახიობიც აღფრთოვანებით მიჰყვა საყვარელ საქმეს — ახალი საბჭოთა თეატრის აღორძინებას. 50 წელი ემსახურა ეს ღვაწლმოსილი მსახიობი ქართულ თეატრსა და კინოს, იმუშავა რუსთაველის, მარჯანიშვილის, ქუთაისის, ბაქოს, ბათუმის, სოხუმის თეატრებში, სადაც დაუღალავად, დაუზარებლად, უანგაროდ ილვწოდა ხელოვნების სარბიელზე. სცენით ცოცხლობდა, სცენა მისთვის წმიდათა წმიდა გახლდათ, მისი სული და გული იყო.

ქ-ნ ცაცას შექმნილი ყველა სახის გახსენება ძნელია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გიორგის დედა („გიორგი სააკაძე"), ქეთევანი („სამშობლო"), ზეინაბი („ღალატი"), კრუჩინინა („უდანაშაულო დამნაშავენი"), ქეთევან დედოფალი („ქეთევან წამებული"), კნეინა ჩიტუნია („გუშინდელნი"), მარიამ სტიუარტი („მარიამ სტიუარტი") და სხვა მრავალი. ბევრ ფილმში დარჩა მისი სახე. ეს ფილმებია: „ნახვამდის" (დავითის ცოლი), „არსენა" (მართა), „დიდოსტატის მარჯვენა" (მონაზონი), „მაგდანას ლურჯა" (მოხევის ქალი), „ფატიმა" (ალიბეკი).

მე ცაცა უფრო ახლოს კინოსტუდიაში გავიცანი. ხშირად ვხვდებოდით ხოლმე გადაღებებზე. უფრო ადრე კი ვიცნობდი მის მეუღლეს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უშიშარ მებრძოლს, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილესა და თეატრალურ მოღვაწეს ვასო არაბიძეს. ისინი ერთმანეთს ბაქოს დასში მოღვაწეობისას დაუახლოვდნენ და 1918 წელს იქორწინეს კიდეც. ცაცა შეუდარებელ მეგობრად თვლიდა მეუღლეს. ხშირად დავდიოდი მათთან. ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, მშვენიერი ბაღი და ეზო ჰქონდათ. მათი სახლი მუდამ ღია იყო სტუმრებისათვის, მეგობრებისათვის. არ დარჩენილა მწერალი ან მსახიობი, რომ მათს ოჯახში არ ეპოვოს ნავთსაყუდელი. სტუმრები გვიანობამდე ისხდნენ ხოლმე და საუბრობდნენ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, მართავდნენ მხატვრული კითხვის საღამოებს.

ცაცა ამირეჯიბი დიდი ოსტატი იყო მხატვრული კითხვისა. მას არაჩვეულებრივი, კეთილხმოვანი ტემბრის, გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ მხატვრული კითხვის პედაგოგად მუშაობდა და ხშირად იწვევდნენ რადიოს რედაქციაში, სალიტერატურო საღამოებზე. საუცხოოდ კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის" თავებს.

ცაცა ახალგაზრდობის მასწავლებელი და მეგობარი იყო. თეატრისა და კინოს მოღვაწეთა დღევანდელი საშუალო თაობა, ქართული თეატრის ძირითადი [illegible]ლა, უმეტესად მისი აღზრდილები, [illegible] ისინი დიდი მადლიერებით [illegible] საყვარელ მსახიობსა და [illegible]რიელ საყვარელიძე თავის შემოქმედებითს ზრდა-განვითარებას ალ. იმედაშვილსა და ცაცა ამირეჯიბს უმადლის.

მახსოვს საჩხერეში, სხვიტორში, აკაკი წერეთლის დაბადების 120-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმი მოეწყო. იქაური ვარ. ცაცამ მთხოვა სხვიტორში ერთად წავიდეთო. ათამდე ახლობელი შევიკრიბეთ და წავედით. ყველა ოჯახში იყო სუფრა გაშლილი და ცაცა ამირეჯიბიც ყველგან საპატიო სტუმარი გახლდათ.

შემდეგ სხვიტორში გამართულ დარბაზობას დავესწარით. იქ იყვნენ მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე, კარლო კალაძე და ახალგაზრდა მწერლებიც. ცაცამ წაიკითხა თამარის მონოლოგი აკაკის „თამარ ცბიერიდან". მერე და რა ხმით, რა დედოფლური მედიდურობით კითხულობდა! ყველა დიდად კმაყოფილი დარჩა და ოვაციებიც გაუმართეს.

ცაცა ამირეჯიბი უსაზღვროდ მოყვარული იყო თავისი ხალხისა, დიდად აფასებდა ქვეყნის ღირსეულ შვილთ, შეჰხაროდა მათს წინსვლას, ხშირად ესწრებოდა ჩვენი დიდებული მოღვაწეების იუბილეებს, რომლებსაც ამშვენებდა თავისი უზადო სიტყვით. როგორც ადამიანი დარბაისელი, ნამდვილი ქართველი პატრიოტი ოჯახისშვილი, ერთგული მეგობარი გახლდათ. დიდად აფასებდა ქალის ზნეობას, ამაყად მიაბიჯებდა და არასოდეს არცხვენდა მსახიობი ქალის წმიდა მანდილს. უყვარდა თავისი კოლეგები, პარტნიორები. ხშირად დავყავდი ნუცა ჩხეიძესთან — ქართული თეატრის მშვენებასთან. რუსთაველის თეატრში ერთად ვმუშაობდით და მე ვიყავი ნუცა ჩხეიძის დუბლიორი „გიორგი სააკაძეში" (გიორგის დედა), „ღალატში" — (ზეინაბი). სულ ერთად ვიყავით. ზოგჯერ ერთ საკაზმულოში ვემზადებოდით სცენაზე გასასვლელად. თვითონაც დედობრივად მექცეოდა. მაგრამ მე მაინც დიდი სასოებით, მოწიწებით შევყურებდი. ცაცა კი დასავით იყო შეწყობილი ნუცასთან. უნდა გენახათ მათი შეხვედრა, მტრედებივით ღუღუნებდნენ ერთად. ასეთი ტკბილი, სიყვარულით გამთბარი ურთიერთობა სიხარულს მგვრიდა. და როცა რუსთაველის თეატრში, 1963 წლის 3 აპრილს ნუცა ჩხეიძის იუბილე გაიმართა და ნუცამ მადლობის სიტყვა წარმოთქვა თავისი უკვე დასუსტებული, მაგრამ მაინც გულში ჩამწვდომი ხმით, მას გვერდში ედგა ცაცა, ვით მისი პლეადის ობლად შთენილი ვარსკვლავი... როგორ შვენოდნენ ერთმანეთს, ვით წმინდანნი ქართული ხელოვნების საკურთხეველთან მდგარნი!

თამარ თუშიშვილი



ზეინაბი — „ღალატი"



ცაცა ამირეჯიბი და თამარ თუშიშვილი „ეთერის სიმღერაში".



„ოთარაანთ ქვრივი".

სსრკ 60

# ყველა ქალს უყვარს კერვა

კალეუ ლიივეს ფოტო.



ინტერვიუ ლუულე ალიკთან,
სამკერვალო გაერთიანების დირექტორთან.

— გახსოვთ თუ არა ფაბრიკაში თქვენი მუშაობის პირველი დღე?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მახსოვს, თუმცა ეს ძალიან ძველი, 1948 წლის ამბავია. მაშინ ჩვენ სამუშაო ტანსაცმელს, ხალათებს, კაცის პერანგებს ვკერავდით. საწარმო გაიზარდა. ახლა აქ ათასხუთას კაცზე მეტი მუშაობს.

— როდის იგრძენით, რომ ხელმძღვანელობის უნარი გქონდათ?

— არ მახსოვს, როდისმე ასეთ რამეზე რომ მეფიქროს. თანდათანობით დავეუფლე სამუშაოს და პასუხისმგებლობის გრძნობაც მომიმწიფდა. მაშინ მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი, ხშირად მიხდებოდა საკითხების დირექტორის დონეზე გადაწყვეტა. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი და ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარმოებისგან მოუწყვეტლივ დავამთავრე — სწავლა მწყუროდა, ცოდნას ვიძენდი. თუ რომელიმე საკითხზე განსაკუთრებული აზრი, ჩემი საკუთარი შეხედულება მაქვს, მე მას ყოველთვის გამოვთქვამ, სხვებს ვუზიარებ. ეს ასე იყო მუდამ — მაშინაც, როცა მკერავი ვიყავი თუ ტექნოლოგი, და ახლაც, როცა დირექტორი ვარ, სიამოვნებით ვუსმენ და ვეთანხმები დამაჯერებელ არგუმენტებს, მაგრამ თუ სიმართლე ჩემ მხარეზეა, მტკიცედ ვიცავ საკუთარ პოზიციას.

— მუშაობაში ვის ეყრდნობა დირექტორი?

— ჩვენი კოლექტივი ძლიერია, მრავალ წელს ერთად მუშაობაში ჩამოყალიბებული. ჩვენ წარმოების ნაყოფიერებისა და ყოველდღიური მუშაობის მართვის მაღალ დონეს მივაღწიეთ. ჩვენთან ყველას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და პასუხი აგოს მასზე. ჩვენ არ გვიყვარს საქმეთათვის საზღვრების დაწესება... „ეს შენი საქმეა, შენ უნდა გააკეთო, ეს კი ჩემიო". როცა საჭიროა, განურჩევლად რანგისა, ყველა დაიკაპიწებს ხოლმე ხელებს და ყველაფერს აკეთებს ძალღონის დაუზოგავად.

— რა გზით შეიძლება კაცმა თქვენს საწარმოში დაიწყოს მუშაობა?

— ვისაც უნდა კლემენტის სახელობის პროფტექნიკურ სასწავლებელს დაამთავრებს (იქ ჩვენი ჯგუფიც არის), ვისაც უნდა პირდაპირ საწარმოში მოვა — ჩვენ ჩვენი სასწავლო კლასი გვაქვს. ჩემი პირველი დამრიგებელი ფიქრობდა, ყველამ თვითონ, თავისი გამოცდილებით უნდა ისწავლოსო. და ეს სწორიც არის: საკუთარი გამოცდილება ყოველთვის უფრო სარწმუნოა, ვიდრე სხვისი სიბრძნე.

ჩვენ ბევრი გამოცდილი ქალი გვყავს. ბუნებრივია, რომ მათს გაწაფულობას ახალბედების მოხერხება ვერ შეედრება. გაწაფულობას, მოსაზრებას, ხარისხს რომ დაეუფლონ, ახალგაზრდებს წლები სჭირდებათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საჭიროა მათ ახლავე უყვარდეთ თავიანთი საქმე. თუ ადამიანმა ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ მონახა, მას არ ექნება ის საზომი, რომლითაც თავის თავსაც უნდა მიუდგეს და სხვებსაც. მე მჯერა: იმათ, ვინც მხოლოდ იმიტომ მუშაობს, რომ როგორმე დღე გაიყვანოს, არც ის იციან, საღამო როგორ გაატარონ, არც კინოში დადიან, არც თეატრში, არც კითხულობენ, არც სწავლობენ... მათი ცხოვრება მოსაწყენია, ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან იმ იმედით, რომ იქ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომა უფრო იოლი იქნება. მათ ავიწყდებათ, რომ ამა თუ იმ სამუშაოს სიყვარულს თვით შრომის სიყვარული ქმნის, რომ კარგად გაკეთებული საქმე ადამიანს კმაყოფილების გრძნობას ანიჭებს. იმისათვის, რომ ადამიანი კოლექტივში აღიჭარდოს, კოლექტივს შეეთვისოს, ცხადია, დრო საჭირო, მაგრამ, სამაგიეროდ, ბოლოს სასიამოვნო ჰარმონია იქმნება: საყვარელი საქმიანობა, მეგობრობა, კოლექტივი, ოჯახი, ყველაფერი თავის ადგილს იჭერს.

— 32 კვარტლის განმავლობაში თქვენი საწარმო ზედიზედ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორ აღწევთ ამას?

— ალბათ ჩვენ უფრო თანამიმდევრულები ვართ, ვიდრე ჩვენი კოლეგები. ჩვენ შეჯიბრების ყველა პირობას ვასრულებთ, ვცდილობთ მუდამ საუკეთესონი ვიყვეთ, ზომიერება არასოდეს დავკარგოთ. და კიდევ, — ერთი პროფესიული სენი გვჭირს — ტრამვაიში, მაღაზიაში, თეატრში, კინოში თუ სადმე სტუმრად მყოფნი ყველგან იმას ვაქცევთ ყურადღებას, თუ ვის როგორ აცვია, დღეს რა მოდაა და ხვალ რა იქნება. თუ ვისმეს ჩვენი შეკერილი ტანსაცმელი მოსავს, ეჭვით ვუცქერით, როგორ ზის, ხომ არ ჭმუჭნის, სახელოები როგორა აქვს მიკერებული, საყელოს ფორმა ხომ არა აქვს შეცვლილი... მთელი ადმინისტრაცია ეწვევა ხოლმე მაღაზიას, ამოწმებს, რა მოსწონს, რას მოითხოვს ან რა პრეტენზიები აქვს მომხმარებელს. ყველაფერს ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვიხსომებთ, ვითვალისწინებთ მომავლისათვის.

— რამდენი ხანია, რაც გაერთიანებას ხელმძღვანელობთ?

ლუულე ალიკი ბოდიშს იხდის, ტელეფონის ყურმილს იღებს და კადრების განყოფილებას ურეკავს: „მონახეთ, გეთაყვა, რამდენი ხანია, რაც მე დირექტორი ვარ“. მერე მე მომმართავს:

— რა ვიცი, წლები არ დამითვლია, მთელი ჩემი სიცოცხლე აქ ვმუშაობ. მერე ისევ ყურმილში ჩასძახის: „თებერვალში რვა წელიწადი გახდება? გმადლობთ“.

— თქვენთან, გაერთიანებაში ბევრი მანქანაა. ხომ არ გადაჩვეულხართ, რომ შეგიძლიათ კვლავ მიუჯდეთ რომელიმე მათგანს?

— მანქანასთან მიჯდომა ფოკუსის გაკეთება როდია. საქმე ის არის, რა ხარისხის ნამუშევარი გამოგივა. ახლანდელი მანქანები დიდი სისწრაფით მუშაობს, მათს მართვას შეჩვევა და დაოსტატება სჭირდება. მე შინ კარგად ვკერავ „უნივერსალით“.

— განა თქვენ შინ კერვასაც ახერხებთ?

— ვახერხებ და, არ იკითხავთ, როგორ! მე მგონია ყველა ქალს უყვარს კერვა. ეს ხომ ქალისთვის ყველაზე შესაფერისი საქმიანობაა!

მარე ოტსი,

ესტონეთი, ქ. ტალინი.



## მაქს

ხარ სიფრიფანა
და გამჭვირვალე ოცნების კვირტი.
ჭირთათმენისთვის
უდიდესი ჯილდო ხარ ჩემთვის.
ხარ ზეცისაგან
მოგზავნილი, მზისაკენ ილტვის,
სულის სხივიერი ელვარება,
და ნიჭი სიტყვის.
გულს დაბნეული
ცვარნამი ხარ, ნუგეში ჩემი
ხარ სასოება
დასეტყვილი ჩემი სხეულის.
ასე პატარა,
და სიფრიფანა ბიჭგი ხარ ჩემი,
ჩემთვის მოჭრილი
ტვიფარი ხარ, გულს დაჭდეული.
ზოგჯერ უგულო, მთელი დანდობით
შენ რომ გეყრდნობი,
მე ასე დიდი,
ასე პატარას როგორ გენდობი?!
როგორღა მზიდავ, საფიცარო,
არ გემძიმები,
თუ არ ხარ, მართლა,
მოგზავნილი,
სული გრძნეული?
სათნოების ზღვას
რომ მთავაზობ, შემოგევლები.
ანკარა წყაროს
რომ მაწოდებ — დაგენაცვლები.
შენი პატარა
მკლავებით რომ გულში მიხუტებ,
და სიყვარულს რომ
სულში მაფრქვევ
ვარსკვლავება შენი თვალებით,
მითხარი, შვილო,
ასე საბრალომ და უქონელმა,
ვით გადვიხადო
ეგოდენი დიდი ვალები.

ჯულიეტა მილდიანი

## ორი ნაწერი

ქარი ქრის, ქარი,
        სოფელს მძინარეს
თოვლის ფიფქები
თეთრად ედება,
ბუხარში ცეცხლი აღარ მძვინვარებს
და გრძელი ღამე აღარ თენდება.
ჩავსცქერი ფურცლებს,
        შენგან მიღებულს,
ვკითხულობ
სანთლის
        შერხეულ შუქზე. —
ვუსმენ
შენს სიტყვებს
ომში მიგნებულს,
კვლავ ამეშლება ფიქრი წარსულზე.
მახსოვს, ეს ქარი სწეწავდა ფურცლებს,
როცა დღიურში ჩასწერე
მკრთალად:
ჩემი სიკვდილი
        ნუ შეგაწუხებს
და მხოლოდ გმირი გიყვარდე
მარად!
ეხლა, როდესაც წინ მაქვს გაშლილი
ცეცხლგამოვლილი შენი წერილი,
შენი წერილი...,
სისხლით წაშლილი —
ქართულ მკერდიდან გადმოდენილით,
ისევ დღიური მიჭირავს ხელში
ორი ნაწერი,
ორივ შენია,
ბრძოლის ფურცლები მკრთალ ჩანაწერში,
შენს მოსაგონრად რომ დამრჩენია.

სიდონია გულისაშვილი

## მთელი ხმით ვლოცავ

შენს ლურჯთვალა ცას,
მწვანე მიწას
და მზისფერ ყანას,
ჩვილთა აკვანთან
დაღლილ დედას,
დედის ტკბილ ნანას,
შენს გმირულ წარსულს
გულის ფიქრს რომ
სიმღერად ერთვის,
ჯვარსა და გელათს,
სვეტიცხოველს,
ვარძიას,
ხერთვისს...
ჩემს ხალხს, მკლავუღლელს,
გმირულ გარჯით
რომ უსწრებს დრო-ჟამს,
მარად მზესავით მოელვარეს
ოქტომბრის დროშას,
ვესათუთები, ვეფერები,
მთელი ხმით ვლოცავ!

სულიკო დიასამიძე

# ჩანაწერი ოქროს ფონდიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველთვის, თვეში ორჯერ მაინც ჩვენ გვესმის ვერიკო ანჯაფარიძის ხმა რადიოდან. ის კითხულობს რაიმე მონოლოგს, ლექსს, მოთხრობას, განასახიერებს რომელიმე როლს ნათამაშევი სპექტაკლებიდან... ეს, ძირითადად, რადიოს საფონდო ჩანაწერებია. ისინი ერთგვარად ავსებს მის უაღრესად მდიდარ და რთულ არტისტულ სახეს.

ჩემთვის კი ეს ჩანაწერები ძალიან ძვირფასია. მათი უმრავლესობა თითქმის ჩემს თვალწინ და ხშირად ჩემი უშუალო მონაწილეობით იწერებოდა. ისე, როგორც ბევრ სხვა დიდ ადამიანთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან მიახლოების უფლებაც რადიომ მომცა, საქმემ, რომელსაც წლების მანძილზე ვემსახურე, რომელიც დღესაც ისევე მიყვარს, როგორც მაშინ.

მიჭირს რაიმე ერთის გამოყოფა, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, ამ ხნის მანძილზე რა გააკეთე ისეთი, რითაც შენი იქ ყოფნა გამართლებულად მიგაჩნიაო, რაც სიხარულს გგვრისო, რა თქმა უნდა, ამ საფონდო ჩანაწერებზე ვილაპარაკებდი. მაგრამ ყველა ამათგან მაინც ერთის გამოყოფას თუ მთხოვდნენ, დავასახელებდი რადიოსპექტაკლ „ურიელ აკოსტას". ლიტერატურულ რედაქციაში მოსვლის პირველი დღიდანვე ამ სპექტაკლზე ვფიქრობდი... მინდოდა რადიოთი მაინც შენახულიყო. რა თქმა უნდა, ძნელი იყო მისი აღდგენა. აღარც უშანგი იყო ცოცხალი, აღარც პიერი, აღარც შალვა ღამბაშიძე, აღარც მიხეილ სარაული, აღარც... თითქმის აღარავინ. მაგრამ იყო ქალბატონი ვერიკო. და კიდევ, არსებობდა რამდენიმე უნიკალური საფონდო ჩანაწერი.— იყო უშანგის ხმა. — იყო პიერის, შალვას, მიხეილ სარაულის, სანდრო ჟორჟოლიანის ხმები, იყო თვით სპექტაკლის მთლიანი ჩანაწერიც... (ამ ჩანაწერზე ქვემოთ გესაუბრებით)... როგორ შეერთებულიყო ეს ხმები? იდეამ, რომ შეიძლება სხვადასხვა სცენაში ურიელის სხვადასხვა შემს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებლის ხმა გამოგვეყენებინა, ძალზე დააინტერესა ქალბატონი ვერიკო...

წინასწარ გვჯეროდა, რომ რადიომსმენელი ინტერესით მიიღებდა მას. ცხადია, ყველაფერი ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ არ შენელებულიყო ეს ინტერესი — არ შენელებულიყო ლეგენდა, რომელიც ამ საოცარ სპექტაკლს კიდევ უფრო მიმზიდველსა და სანატრელს ხდიდა, რადიომსმენელს გული არ უნდა სტკენოდა. მხოლოდ ხმითა და მუსიკით უნდა აღმდგარიყო მისი განუმეორებელი პლასტიკაც, ნახაზიც, განათებაც... უნდა აღმდგარიყო ივდითის ღიმილიც... და საერთოდ, ის ბობოქარი, დაუოკებელი სული, რაც ამ სპექტაკლს, თვით მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღესასწაულად აქცევდა... სირთულე დიდი იყო, მაგრამ საშიშროება ნაწილობრივ უკვე აღარ არსებობდა, რაკი საფონდო ჩანაწერებს გამოვიყენებდით. მაინც მღელვარებით ვიყავით აღსავსენი... მარტო ჩვენ კი არა, თვით ქალბატონი ვერიკოც.

სამი ურიელი გვყავდა: — უშანგი, პიერი და იაკობ ტრიპოლსკი.. სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოვახერხეთ სერგო ზაქარიაძის, თუნდაც ერთი მონოლოგის ჩაწერა... ურიელის როლს ხომ ისიც ასრულებდა (სურვილი ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ განხორციელება ვერ შესძლო).

გვყავდა ორი დე სილვა — შალვა ღამბაშიძე და ტარიელ საყვარელიძე.

ორი დე სანტოსი — მიხეილ სარაული და ვასო გოძიაშვილი.

ბენ აკიბა — სანდრო ჟორჟოლიანი.

ივდითი კი ერთადერთი იყო....

დავიწყეთ მუშაობა. სპექტაკლი თავიდან ბოლომდე ახალი ძალებით ჩაიწერა. ამოვძებნეთ და მოვიტანეთ ნოტები. უკრავდა რადიოს ორკესტრი. ყველა სცენა მუსიკის თანხლებით იწერებოდა.

დღეს რადიოს ბევრად კეთილმოწყობილი სტუდიები აქვს. მაშინ კი, ერთი, შედარებით პატარა, მოუწესრიგებელი სტუდია გვქონდა... ეს ხარვეზი მეტწილად აჩნია მაშინდელ ჩანაწერებს...

რაც შეეხება რადიოსპექტაკლ „ურიელ აკოსტას", მასაც ცოტაოდენი ხარვეზი ჰქონდა. სტუდიაში, სადაც მსახიობები იმყოფებოდნენ, ხშირად მუსიკის ხმა კარგად არ ისმოდა, რაც გავლენას ახდენდა როგორც მსახიობების განწყობილებაზე, ისე ჩაწერის ხარისხზე. მაგრამ ჩანაწერი, ვფიქრობ, მაინც კარგია და ამაში მთავარი წვლილი, რა თქმა უნდა, ვერიკო ანჯაფარიძეს მიუძღვის. საოცარი მოწადინებით იმუშავეს მსახიობებმა...

ყველამ კარგად იცოდა, რომ მათი ჩანაწერიდან შეიძლება სპექტაკლში სულ ცოტა გამოგვეყენებინა, მაგრამ იმდენად სასიამოვნო იყო ნაწარმოების არსთან თუნდაც წუთიერი მიახლოება, მისი შთაგონების სამყაროში შესვლა, რომ მხოლოდ მადლობის გრძნობით იყვნენ განმსჭვალულნი.

და აი, სპექტაკლი ჩაიწერა... დამთავრდა მონტაჟიც... რაღაც კიდევ იყო საჭირო.... რადიომსმენელებისათვის უნდა გვეთქვა რა გვინდოდა, რა იყო ჩვენი მიზანი... აქაც პირველი სიტყვა, ცხადია, ქალბატონ ვერიკოს ეკუთვნოდა.

რადიოსპექტაკლი მისი სიტყვებით იწყება. ის დიდ კოტე მარჯანიშვილზე და იმ მძლავრ შემოქმედებით სიხარულზე ლაპარაკობს, რომელიც ამ სპექტაკლს მოჰქონდა როგორც მსახიობების, ისე მაყურებელთა გულებამდე. შემართული და საზეიმოა მისი ხმა... მასშია სიამაყეც, სინაზეც, სინანულიც... ის ერთდროულად გვაგრძნობინებს ტკივილსაც და სიხარულსაც.

შემდეგ... იწყება რადიოსპექტაკლი. თითქოს შორიდან ისმის დიქტორის ხმა:

— პირველი მოქმედება. სცენა ბაღში. ურიელი — უშანგი ჩხეიძე.

ამბობენ, როცა ეს, და კიდევ რამდენიმე სხვა ჩანაწერი გაკეთდა, უშანგი მაშინ შეუძლოდ იყო და ამის მიხედვით მსახიობის ნიჭიერებასა და სიდიადეზე საუბარი შეუძლებელიაო. ამასვე ადასტურებს ქალბატონი ვერიკოც. მაგრამ თვით ამ უხარისხო თუ შედარებით უგანწყობილებო ჩანაწერითაც, უშანგი, ჩვენს მიერ ნანახ ურიელთა შორის, მიუწვდომელია. მიუწვდომელია ამ რადიოსპექტაკლშიც. ჩანაწერი უფრო ცოცხალი რომ გაგვეხადა, ვერიკო სიტყვებს სტუდიიდან წარმოსთქვამდა...

ჩანაწერი ურიელის სიტყვებით იწყება:

მე აქ მოვედი იმისათვის, რომ შენ ეს გსურდა...

ივდითი სტუდიიდან უპასუხებს:

— შენ აქ მოხვედი იმისათვის, რომ მე ეს მსურდა?

ამანაც თავისებური სილამაზე შეიტანა ჩანაწერში. — ასევე ჩაიწერა სხვა სცენებიც... ყოველი ახალი სცენის დროს დიქტორი აცხადებდა ურიელისა თუ სხვა როლების შემსრულებლებს...

სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... მივიღეთ უამრავი წერილი, მადლობა... გაუთავებლად გვთხოვდნენ რადიოსპექტაკლის კიდევ და კიდევ გამეორებას. — მადლობას უხდიდნენ, ქალბატონ ვერიკოს...

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ იმ დღეების სიხარული და შთაბეჭდილებები გაუხუნარია; ისევე, როგორც გაუხუნარია ივდითის ღიმილი, სინათლით რომავსებს მეორე მოქმედების დასასრულს... სცენას კი არა, მაყურებელთა გულებს...

ამ რადიოსპექტაკლშიც ჩანს ეს ღიმილი და სინათლე. მას დღემდე შერჩა მიმზიდველობა. იგი საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის" საკუთრებაა.

ვერიკოს ყოველი ჩანაწერი მეტად ძვირფას მოგონებებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამჯერად მინდა კიდევ ერთი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ.

ეს შთაბეჭდილებაც ისევ „ურიელ აკოსტას" წარმოდგენას ეხება. მინდა გავიხსენო კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო საღამო, ამ ოციოდე წლის წინათ რომ გაიმართა. ეს ის საღამო იყო, როცა დიდი ხნის შემდეგ სცენაზე ისევ უნდა გვენახა ივდითი.. ცხადია, ზღვა ხალხი მოაწყდა თეატრს.

ვის დაავიწყდება... მეორე მოქმედების შემდეგ მსახიობმა უეცრად ხელი მოიტეხა. ცნობამ, რომ იგი ცუდად გახდა, მთელი თეატრი დაირბინა. საღამოს მარჯანიშვილის იუბილეზე ჩამოსული მოსკოველი სტუმრებიც ესწრებოდნენ... სხვა რესპუბლიკებიდანაც იყვნენ.

საოცარი სანახაობა იყო... ხალხი დარბაზიდან არ გადიოდა. გაურკვეველი მოლოდინი აჩერებდა ყველას - შიში, ტკივილი და მოლოდინი. გავიდა ოცი წუთი, გავიდა ნახევარი საათი, გავიდა კიდევ მეტიც... ხალხი კი არ მიდიოდა. ალბათ, მხოლოდ თეატრმა იცის ასე...

და უეცრად, საავადმყოფოდან დარეკეს, რომ სპექტაკლი გაგრძელდებოდა. შემდეგ კი, ჩაბნელდა სცენა. სამწუხაროდ, კინოფირზე არ გადაუღიათ ის წამი, როცა ფარდა გაიხსნა და ჩვენ დავინახეთ ვერიკო თაბაშირში ჩასმული ხელით. ის ივდითის თეთრი კაბით იდგა... გვახსოვს რაღაც საოცარი, სტიქიური ტაში, დაუსრულებელი ტაში... მსახიობი მთლიანად კანკალებდა. იგი სცენის მარჯვენა მხარეს იდგა და ჩვენ შევნიშნეთ მისი სისუსტისაგან მოკუმშული თითები. იგი ტიროდა და ტიროდა მთელი დარბაზი. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო, ქალბატონმა ვერიკომ თავის თავს რომ ვერ დასძლია და მაყურებელმა მისი სისუსტე დაინახა. მაგრამ რა ლამაზი იყო ეს სისუსტე... ამაყი, დიდებული, რაღაც, ზეადამიანური, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებას შეუძლია. სპექტაკლის შემდეგ მსახიობმა სტუმრებს სიტყვით მიმართა... მაშინ მან ამ სპექტაკლს „ძველის ნამსხვრევები" უწოდა... მართლაც დასანანია, რომ ეს საოცარი სპექტაკლი, მისი მართლაც განუმეორებელი პლასტიკა არ გადაიღეს... რაც შეეხება რადიოს... საგულისხმოა, რომ მის ფონდში ამ საღამოს მთლიანი ჩანაწერი ინახება... რაღაც სტიქიური, დაუსრულებელი ტაში კვლავ აღადგენს ადამიანების მეხსიერებაში ამ განუმეორებელ წუთებს.

ერთი ფრანგი პოეტი წერს: „თვით სიტყვა „ხელოვნებას" თავისი ჟღერადობით არაფერი არა აქვს საერთო დალოცვილ სიმშვიდესთან.... ეს არის კივილი ველური ფრინველისა. რომელიც ქვასავით დაეცემა ხოლმე თავის მსხვერპლს". როგორც ჩანს, ეს მართალია. ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედება გვასწავლის, რომ ხელოვნება, როგორიც გნებავთ, ყველაზე ნაზი, ყველაზე გულითადი ფორმითაც რომ იყოს გამოხატული, იგი მაინც სიცოცხლის დაუზოგავობის ტკბილ და მძაფრ გრძნობებს განგვაცდევინებს.

თინა კოგალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაქსი ქალაქის ქუჩებში

ჩანახატი

ჩხოუშია ენგურის ღვიძლი დაა. მისი ჩალრანტებული ნაპირები, ხავსმოკიდებული ლოდები და ლეყებომოძალებული დინება, მისი ზუგდიდს ქვემორე წელში, მოტბორებულთან, თავხოტორა ბიჭების კალათებით ამოკრეფილი კიბორჩხალების სხვარსხვალი ისეთივე კოლორიტულია ჩადადიანოს კოლხეთისათვის, როგორც ეს ცა და მიწა, ერთ სალებავში ამოვლებული, ერთი ფერით შემკვრივებული. მაგრამ ხანდისხან, იქით, რუხი ქედებიდან კიდევ უფრო მაღლა, ნეტარი სიქათქათის გვირგვინებით რომ აქარავნებულა სამუფო კრებული კავკასიონისა, როსმე თუ შეყრის საავდრო ღრუბლებს, სალათას ძილით გათანგული კაცივით წამოიმართება ჩხოუშია, ლობე-ყორეს წაებლოტება, აიკლებს აშხვართალებულ ტირიფიონებს, უფრო ტანბრგე ხეებსაც გამოუთხრის ძირს, ქვა-ღორღით ჩახერგავს სასწრაფველს, გზისპირისკენ გადიფაფრება, მოიტაცებს უდიერად მიყრილ საშენ მასალას, ბოცებს, კასრებს, ხანდისხან ფრინველ-პირუტყვსაც წაატანს ხელს, მერმე ჯუმთან და ენგურთან ერთად შავი ზღვის ქვესკნელში ჩანთქავს უკლებლივ და ბოლოს, როდის-როდის წკმუტუნწკავწკავით მიწყნარდება საგანთიადოდ.

იმ ნაადრევ შებინდებულზე სწორედ ასეთი შემოგვეფეთა სანაპიროს ქუჩაზე ტაქსის მგზავრებს ჩხოუშია. დაეფორიაქებინა ღვართქაფ წვიმას და მალემქროლ ზენა ქარს შემოდგომური მუცელმოყვითალო ფოთლები. წამი-წამ იზრდებოდა მდინარე. დადორბლილს გამოეხვეტა შლამი და ფიჩხიანი კორძები. მარჯვნივ გადაუხვია მძღოლმა, შემაღლებულისკენ, იმ ბეტონის კედელს მისკუპებული მაღაზიისკენ, რომლის სიახლოვეს ტოტებმეჩხერი ხეების სილუეტებიც ირეკლებოდა ჩაკუპრებული ციდან.

ქალმა ღონიერი მაჯით მოიწმინდა დაცვარული შუბლი. ღიმილით შეგვათვალიერა უკანა სალონში მსხდომი მგზავრები, მე და თეთრთმიანი მანდილოსანი. მხრებში ჩამძვრალ ქოჩორა ბიჭუნას თავზე მიუალერსა, რომელმაც ოცწუთიანი ხეტიალის მანძილზე პირველად გააპოტუჩები და უკიჭებო პირი დააბჩინა. თავიდან ეს თმათეთრი ქალი დავიმგზავრე. ბიჭუნა ქუჩის კუთხეში ვიხილეთ, წვიმით გალუმპული, აცახცახებული. გაკრეფილი ტროტუარი ვერ იცლიდა მისთვის. არც მოუბოდიშნია მძღოლს, მანქანა დაამუხრუჭა, შემოიხიზნა და ისეთი თვალებით შემომხედა, უკან გადაჯდომა მომასურვა. ბავშვისთვის სიცივესთან ერთად სლოკინს და ტირილსაც დაერია ხელი. გზააბნეულს ჰგავდა. ასეც გამოდგა. ცხაკაიიდან ჩამოეყვანა დეიდას. თურმე სოფელ აბასთუმანში მიდიოდნენ, ბაზარში დაეკარგა. გუმანით წამოხეტებულიყო წვიმითა და უიმედობით დაშინებული.

ვიპოვით დეიდაშენსო, დაუყვავა, მეც სწორედ შენი ტოლი გოგონა მყავსო, გამომართვი ეს ფოჩიანი კამფეტებიო. ბაზრის ტერიტორიას ერთხელაც შემოვუარეთ. რაიონისა და ქალაქის მილიციაშიც შეირბინა, ნაცნობ ტაქსისტებსაც შეეხმიანა. ყმაწვილის ვინაობამ უფრო შეასხაფრთება.

მაშ გია ხარ კაცო, შენ, თანაც თოდუას გვარისა? ასე რამ დაგაშინა, ჩემი ინდირაც თოდუაა გენაცვალე, სკოლაში გავუვლით და ამაღამ თვითონ ჩაგიყვან ნათესავებთანო.

ახლა კი მეწყერით გზამოჭრილები და ჩიხშიმომწყვდეულები მინის მწმენდავების წკაპანს და წვიმის შხაფს ვაყურადებდით. ჩხოუშიამ მოასწრო დამბებისა და ბეტონის მოკბეჩვა, ეზოში შეეჭრა სანაპიროს ქუჩის მცხოვრებლებს, დააფაცურა ხალხი. ხიზნავდნენ ინდაურებს და ბოჩოლებს. ჩვენც მოვიცალეთ გაცნობისთვის. ენაწყლიანი გამოდგა მძღოლი მერი პატარიძე. ადრე დაობლებულიყო: მრავალშვილიან მამას წლისთავზე ცოლი შეერთო. დედობა ვერ გაუწევია დედინაცვალს — გერების ლუკმას აკლდა თურმე სითბო და მადლი. და მერი გადმოხვეწილა სახლიდან.

არ წუწუნებდა მერი პატარიძე. მას გოგო ჰყავდა, თავისი თვალისჩინი, თავისი ინდირა, დედის გამქრალი ოცნებების დამფრთიანებელი. ენაწყლიანი გამოდგა მძღოლი — მშვენივრად იცოდა რუსული და როცა გიას და მე საუბრით დაგვაპურებდა, ლაკონურად უთარგმნიდა ჩვენს თანამგზავრ ზინა კურჩენკოსაც, რომელიც ქალაქ დონეცკიდან ჩამოსულიყო ინჟინერი შვილის სანახავად. საუბრობდა და თანაც მოხდენილად მიაშველებდა მინას ქათქათა ჩვარს. სხვა რა ესწავლა ობოლ გოგონას? ოფლით მოპოვებული ლუკმა მაინც რომ მწარობდა? პირველად ჯაბახანა მანქანა ძლივს არგუნეს უმეურვეოს. არ თაკილობდა გარეგნულად, არც ნაძალადევ ღიმილს იშურებდა გაჯგიმული მუშტრისთვის. მხოლოდ კოლეგები იყვნენ მისი მფარველები, ებრალებოდათ ეს საქმის ერთგული და მუდამ მეგობრული ქალიშვილი, რომლის გულშიც ნელნელა იმარჯვებდა ვაჟკაცური გამბედაობა. ეხმარებოდნენ რითაც შეეძლოთ, ნაწილების შოვნა იქნებოდა თუ დაშვებული საბურავების გამოცვლა. და ახლა, აი, ვისხედით მის ახალთახალ ტაქსში. უხაროდა, გულით უხაროდა ეს ადამიანური სიკეთე მერი პატარიძეს.

ამასობაში წვიმამ გადაიკარა, ზენა ქარმა გაფანტა შედედებული ღრუბელი, გამოჩნდა ცის კუნწუხო, ჩხოუშიაც ბურტყუნით უკუდგა, დაიწრიტა დალამული ქუჩა. გვერდს უქცევდა ფიჩხისა და ღორღის გროვას. სადგურისკენო, ღიღინებდა მძღოლი. მიგვაქროლებდა მანქანის მორჩილი საჭე. ეს დადიანების ბაღიაო, უხსნიდა ქალბატონ ზინაიდას, აქ არის ჭავჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაძეების დედოფლის სასახლე, ხომ გაგიგონიათ, გრიბოედოვი, ჰო და იმისი ცოლის დის, ეკატერინესიო. მერმე ტატო ბარათაშვილი გაიხსენა, განჯაში უნუგეშობით და უსიყვარულობით ჩაფერფლილი ქართული პოეზიის რაინდი.

ავტოსადგურში დიდხანს არ დაგვჭირვებია გია თოდუას დეიდის ძებნა. ის იდგა კიბეებთან, ყოველ გამვლელ მანქანას მისჩერებოდა გაფაციცებული. მტკავლით გაიზარდა პატარა. ტიროდა ის ტანმორჩილი შაოსანი, თანაც იხრებოდა წინდისკენ, სადაც ერთგულად ინახავენ ხოლმე კოლხი ქალები გროშებს. შეიცხადა ჩვენმა მძღოლმა, როგორ გეკადრებათო, მთავარია, რომ ბავშვის გულია გახარებული, ეგ ხომ ჩემს ინდირასავით საყვარელიაო; შვილის ხსენებამ დააფაცურა: მეჩქარება, უნდა წავიდეო, ბავშვს აკოცა; ჩემი გოგონას გვარისა ხარ, შვილო, არ დაივიწყო მესაჭე დეიდაო.

მეც აქ, გია თოდუასთან მერჩივნა ჩამოსვლა, ჩემი გზაც ხომ ამალამ რამდენიმე დღით უნდა გაყროდა ზუგდიდს, მაგრამ ინდირას უნახაობა მაჩერებდა. და მერე რაა დღელამეში ჩაკვეხებული დრო კალმოსანისთვის?!

არც დონეცკელი ქალბატონის ვაჟიშვილის პოვნა გასჭირვებია. ქალაქი ქალაქშიაო, უხსნიდა ენგურქაღალდკომბინატისკენ მიმავალ კურჩენკოს, ოთარ ფაცაციამ ააყვავა აქაურობაო, დასძენდა გულღიად. მალე ინდირასკენ მივქროდი. ახლა კი ვიხილავ ჩემს თვალისჩინსო, ჩურჩულებდა.

ისრუტავდა გზას მალემრბოლი ბორბლები. მერიმ ჭიშკარში შეირბინა, საფეხურებზეც აიტანა მოქანცული სხეული. ათიოდე წუთში გამოჩნდნენ. კაშნეს შემოახვევდა, აკოცებდა, ისევ დაიხრებოდა, საყელოს შეუსწორებდა, აკოცებდა და სანამ მანქანამდე მოაღწევდნენ, სამჯერ ჩამომარცვლა ტაქსომეტრმა. ჩემი არსებობა მთლად გადავიწყებოდა. აი, ეს არის ჩემი თვალისჩინი, ჩემი ინდი! დღეს ორი ხუთიანი მიუღიაო. სამასწავლებლოში შეუყვანიაო დამრიგებელს, უკვე ერთი გაკვეთილი მოუმზადებიაო. ანი კი მთელი დღე მიმსახურეთო! საითკენ ინებებთო?! გამეღიმა. ჩემი მარშრუტი და დღის წესრიგი კარგა ხნის დარღვეული გახლდათ.

— დადიანების ბაღთან მეთქი.

მას ხომ სამჯერ ჩავუარეთო, გაიოცა.

— დიახ, მეთქი — დავუდასტურე. შესასვლელს მიღმა, მე ბზის ხეივანი მელოდა, მელოდა გარდასული საუკუნის ზღაპარი... იბევრა ფული, მაგრამ ჩემთვის არაფერი ძვირობდა ამ შებინდებულზე. შენისლული მინიდან მე ვხედავდი დედაშვილს, ვხედავდი როგორ გადახვია ქალმა ხელი ფრიადოსან გოგონას, როგორი ტაატით შეერივნენ აციაგებული ქალაქის ქუჩებს.

**გულადი ფეტელავა**

ცირა ქიტიაშვილი

## ტოპონიმიკა

ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ცხოვლად ჩაუწერიათ.

ნ. ბერძენიშვილი

ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,
სად არ მახედებ, სად არ მიმიყვან,
სოფელი მეტყვის, მქვია ვარციხე
და ისტორიას ბუტბუტით მიმხელს,
მეტყვის — ვიყავი, ურყევი, ურჩი,
მაგრამ გამყიდეს ჩამექცა ბურჯი.
ბევრი წაასხეს, სტამბოლში გურჯი,
დამრჩა საყდრები, კედლები მუნჯი,
და ღვთისმშობელის ტუჩები ლურჯი.
ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,
სად არ მახედებ, სად არ მიმიყვან!
მტკივა და მტკივა, ყველა ნახმლევი,
კლდეში ქვაბები, ბარზე ქვახვრელი,
ნადარბაზევი, ნაჭარმაგევი,
ნაქულბაქევი, ნაქალაქევი,
ნაღუარევი, ნაჯიხურევი,
ნასაკირალი, თუ ქვათახევი.
ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,
შემაცვლევინებ ფერს და მიმიკას,
ვაი სოფელო, არხილოსკალო,
ბარბაროსობის, საზარო კვალო,
კოხდაბასრულო წყეულო კევრო,
თურმე ჩვილების გულმკერდზე გევლო,
ვაი ვენახო, ყანავ და ტევრო,
მდინარეებად, ნადენო ცრემლო,
გადაბუგულო მუხავ და ვერხვო,
მთებში შეშლილი, ქალ-რძალის ექოვ,
და დაკარგულო ზაალ ან ვეფხვო

ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,
რას არ მასწავლი, სად არ მიმიყვან.
დავდივარ ასე, საპოვნელათი,
ვნახე ბაგრატი, გორი, გელათი,
ვნახე გარეჯი, ჯვარზე ავედი,
გრემი, კვეტარი, მზე ალავერდი,
კოშკებმაღალი, რკინა, სვანეთი,
ვნახე გერგეტი და ფიტარეთი,
სვეტიცხოველი, კალა, ვარძია,
ეს ყველაფერი ჩემი განძია.
ტოპონიმიკა ჩემი მაცნეა,
მაცნობს ქვეყანას, მრავალ ტაძრიანს,
ეს ველის ციხე, კუხეთ-კახეთი,
ეს იმერეთი, მოდინახეთი,
მოსპობა მისი, ვერვის დასცლია,
ქვითკირი ესე, რადგან გამძლეა,
ციხეს ჯავშანი, ხავსის აცვია,
და ღრუბლებს ცაში აუტაციათ.
ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,
სამშობლო ხატო მკერდზე მიგიკარ,
ხატო ბრწყინვალევ, განა უგვანო,
ვარდის უბანო, ვაზისუბანო,
მიმსვლელ-მომსვლელთა, სალაპარაკოვ,
ახალციხევ და ახალქალაქო
ახალგორო და ახალსოფელო,
ჩემო სიმღერავ და სამყოფელო.
ახალდაბებო, ახალშენებო,
ოდებო სოფლის დამამშვენებო,
ხარაჩოებით ცათამბჯენებო.
მუდამ იქნება, მუდამ დარჩება,
სალხინო, შრომა და გამარჯვება.
შენ კი, მეგზურო, ყველგან მიმიყვან,
ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა!

# წაუკითხეთ პატარებს

### ფუტკარი

ვიდრე ცაზე, ცხრათვალავ,
წითლად ამოცურდები,
მე ველ-მინდორ მოვლილი
შინ ფუსფუსით ვბრუნდები.
ყვავილებთან დამტკბარი
ზღაპრებით და ლექსებით,
უხვ სუფრაზე ნამყოფი
მათთან ნაალერსები.
სტუმრად მიტომ დავდივარ
მზეო, მზეო, ლამაზო,
რაც ჭიქა მაქვს ოჯახში,
მინდა თაფლით ავავსო,
ყველას გავუნაწილო,
ავთოს, ზურას, თამარსო.

### ბაჭიას სიხარული

ცელქ ბაჭიას დედა კაბებს
უკერავს და უკერავს...
ყურცქვიტას კი ერთი კაბა
ურჩევნია სულ ყველას:
ბაჭოს გრძელი კაბის ჩაცმა
მეტის მეტად ახარებს,
მაშინ ცეკვავს განდაგანას,
გულიანად ხარხარებს.
კაბა არის მწვანე ფერის,
თან ყველაზე ახალი,
ჯიბეზე აქვს დახატული
სტაფილო და ჭარხალი.

**ნელი დარსაველიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარგო თომაძე

# როცა გულისყური დახშულია



„ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა“ ... „ვაიმე დედის ამაგსა, ვერ გადავიხდი, რა ვუყო!“ ვინ მოთვლის რამდენი სახოტბო ლექსი და ბალადა უძღვნიათ დედისათვის. განა ცოტაა სათაყვანებელი დედა?!

მაგრამ ამ ჭრილში იმ გამონაკლისებზე მინდა მოგითხროთ, რომლებიც ხელაღებით ანგრევენ ოჯახს და არც ფიქრობენ როგორ უმახინჯებენ შვილებს ცხოვრებას. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, — ამბობს ქართული ანდაზა. ეს ანდაზა იმასაც გულისხმობს, რომ თუ შვილი ადამიანად არ ვარგა, ამაში დანაშაული უპირველეს ყოვლისა, მშობლებს მიუძღვით.

„ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვა რამედ, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არ არის“ ... არ შეიძლება არ გაგახსენდეს ილიას ეს ბრძნული ნათქვამი, როცა სიტყვა აღზრდაზე ჩამოვარდება. აბა რა უნდა ისწავლოს ბავშვმა იმ მშობლებისაგან, რომლებიც გაუთავებლად ჩხუბობენ და დაობენ. მშობლის ავტორიტეტი ის ღერძია, რომელზეც ახალი თაობის აღზრდის საქმეა დაყრდნობილი.

რამდენიმე წლის წინათ ცხაკაიის საბავშვო სახლში მიმავლინეს, სამი დღე დავრჩი მათთან. გვიანი შემოდგომა იყო. ციოდა. ღამის ათი საათი იქნებოდა, აღმზრდელებმა პატარების საძინებელი ოთახის კარი რომ გამოიხურეს, ბავშვებმა უკვე დაიძინესო, მე მაინც გულმა არ მომითმინა და ოთახში შევედი. ერთ გოგონას საბანი გადახდოდა, ქერა დალალები ბალიშზე გადაეშალა და თითქოს ეძინა. ბავშვს ფრთხილად გავუსწორე საბანი და ის-ის იყო უკან ვაპირებდი გამობრუნებას, რომ გოგონამ თვალები გაახილა და მკითხა:

— შენ ვისი დედა ხარ? — სევდით მიყურებდა ფართოდ გახელილი, ცისფერი თვალები. — ჩემი დედაც ასე ამომიკეცავდა ხოლმე საბანს ... მერე სხვაგან წავიდა, სულ წავიდა. ბებია მომიკვდა. მამამ აქ მომიყვანა. დედიკო სულ არ მოდის. ჩემი დედიკო მინდა...

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, გოგონას სევდაჩამდგარი ცისფერი თვალები და ნაღვლიანი ხმა ჯერაც არ დამვიწყებია. ასეთი ბავშვები დანგრეული ბუდეებიდან გადმოცვენილ ბარტყებს მაგონებენ.

მოზარდის პირველი სკოლა ხომ ოჯახია. უფრო მეტიც: მთელი სამყაროა, სადაც ის ფეხს იდგამს, სწავლობს სიყვარულს, სიკეთეს, თანაგრძნობას, სადაც ის მშობლების დახმარებით ერკვევა კარგსა და ავში. ერთხელ სკოლის მშობელთა კომიტეტის დავალებით ორ მოწაფეს ოჯახში ვესტუმრე. ძმებს ზედიზედ რამდენჯერმე ორიანი მიეღოთ და მიზეზი უნდა გამერკვია. ეზოში რომ შევედი, წივილ-კივილი შემომესმა. აივანზე გაანჩხლებული ქალი ტრიალებდა და რაც კი ხელთ მოხვდებოდა, კაცს ესროდა. ვიდრე ზევით ავდიოდი, ბიჭების საუბარი შემომესმა, ისინი კიბის ქვეშ ისხდნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ.

— დათო, მე ცოლს არასოდეს შევირთავ.

— არა, არც მე შევირთავ ცოლს.

— ეს ბიჭები გაანჩხლებული მშობლების შვილები აღმოჩნდნენ, სწორედ ისინი, ვისი ამბის გასაგებადაც ვიყავი მისული. უმალვე ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

მწარედ განიცდიან ბავშვები ოჯახურ უსიამოვნებას, ნაღვლობენ. როგორც კი ბავშვები ოჯახურ უსიამოვნებას, დედასა და მამას შორის დაძაბულობას იგრძნობენ, სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ამ დროს ისეთი ბავშვიც კი, ვინც ყოველთვის სიბეჯითით გამოირჩევა, მოუმზადებელი, ყურადღებაგაფანტული ცხადდება სკოლაში. მასწავლებელი? მასწავლებელი რა მზრუნველობას იჩენს ასეთი მოზარდის მიმართ?

— გააჩნია მასწავლებელს. ზოგი გულცივი და უხეში, ისედაც ტრავმირებულ ბავშვს თავს ესხმის, არ იხედება მის სულში.

ზოგი მასწავლებელი კი...

ერთ-ერთ სკოლაში გაკვეთილს ვესწრებოდი. მასწავლებელმა გამოკითხვა დაამთავრა, ახალი გაკვეთილის ახსნა დაიწყო. ზარი რომ დაირეკა, ერთი გოგონას წინ შეჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარინე, არ მისმენდი, რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მოსწავლეს. გოგონამ თავი დახარა და პასუხი არ გასცა. მერე ცრემლები აწკარუნდა მერხზე. მასწავლებელი გოგონას ათრთოლებულ მხრებს შეეხო, დაუყვავა: — გაკვეთილების შემდეგ შინ ერთად წავიდეთ, კარგი? — რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მივედი სკოლაში და მარინეს ამბავი ვიკითხე.

— მარინეს მშობლები გაყრას აპირებდნენ. ამიტომ ტიროდა. დედამისმა, შვილთან ერთად რომ დამინახა, ლამის სახლის კარები ცხვირწინ მომიხურა, ჩემს პირად საქმეებში ჩარევის უფლება თქვენ არა გაქვთო, მკვახედ მომახალა. — ეს „პირადი" საქმე არ არის. ბავშვის მომავალზე ზრუნვა ყველას ვალია. და მით უმეტეს მასწავლებლისა, — მივუგე და ოთახში შევედი. ვიყავი მარინეს დედისა და მამის სამსახურშიც. კოლექტივი მხარში ამომიდგა. დარწმუნებული ვარ ოჯახი არ დაინგრევა. რომ იცოდეთ, რა გახარებული იყო დღეს მარინე! დიდი გულისყურით მისმენდა. შეკითხვებზეც კარგად მპასუხობდა.

დიდი თავდადება და მოთმინება მართებს დედას. ოჯახური სითბო და სიამტკბილობა მეტწილად მასზეა დამოკიდებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ დედას გულისყური დახშული აქვს, არ იჩენს სათანადო ტაქტსა და გულისხმიერებას.

თბილისიდან ბორჯომში მივემგზავრებოდი, 14—15 წლის გოგონა დამემგზავრა. ის ჩემს გვერდით იჯდა, თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ დაფიქრებული იყო. რაღაც აწუხებდა.

— სად მიდიხარ? — ვკითხე გოგონას.

— დედასთან ვიყავი მცხეთაში, — მითხრა და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა: ხუთი წლისა ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა, სხვაზე გათხოვდა. მამა და დედინაცვალი მზრდიდნენ. ერთი წელია მამა მომიკვდა. ძალიან მიჭირს. დედას ვთხოვე შენთან მამყოფე, ბავშვის გაზრდაში დაგეხმარები-მეთქი, მან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ყველაფერი აირევაო, სადაც იზრდებოდი, ისევ იქ იყავიო.

დედის გულქვაობამ მთელი არსებით შემძრა. დიდხანს ვისაუბრეთ მე და თამრიკომ, მერე მისი დედინაცვალიც გავიცანი. დედინაცვალი დედაზე გულისხმიერი გამოდგა.

— რამდენი წინდახედულობაა საჭირო, რომ ოჯახი არ დაინგრეს. თუნდაც იმიტომ, რომ ოჯახში ბავშვია. მას დედა და მამა ერთნაირად უყვარს. ოჯახი ის მასაზრდოებელი წყაროა, რომელმაც ნერგი უნდა ახაროს, სამშობლოს ჯანსაღი თაობა გაუზარდოს. ხშირად უზრუნველად აღზრდილ, განებივრებულ ქალიშვილებს უმძიმთ ქმარ-შვილის მოვლა და თუ მცირედი რამ ეწყინათ, ბავშვს ხელს დაავლებენ და მშობლებთან გარბიან. პატარას კი ის გარემო უნდა, ის კუთხე უყვარს, სადაც დედა, მამა და ის ერთად ცხოვრობდნენ:

ერთხელ საკმაოდ დიდსა და ავტორიტეტულ ოჯახში ასეთი სურათის მოწმე გავხდი: აღელვებულმა ახალგაზრდა დედამ ოთახში ძლივს შემოათრია ოთხიოდე წლის ატირებული ბიჭუნა.

— იქ მინდა, იქ მინდაა, ჩემს პატარა სახლში მინდა! რატომ წამომიყვანე! — ტიროდა გულამომჯდარი. გაანჩხლებული განიწმატებული დედა კი ყვიროდა: „თაი წავიყვანე. იქ რაღაცეები დამრჩა. აქედან სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გამყვა, შიპედით თუ არა, მაშინვე ფეხსაცმელი გაიხადა, სადღაც გაძვრა-გამოძვრა, თავისი საშინაო ჩუსტები მოძებნა და ჩაიცვა. მამამისის ჩუსტებიც სადღაც იპოვნა და იქვე კარებთან დააწყო, მერე ტახტზე არხეინად წამოკოტრიალდა. რა კარგი დედიკო ხარ, რომ მომიყვანეო. ახლა მამიკოც მოვა და ბურთს ვითამაშებთო. მე ვჩქარობდი, რომ იმ ოხერს არ მოესწრო. როგორც იყო, შევაგროვე რაც მინდოდა. ეს კი გაჭირვეულდა, არაფრით არ მომყვებოდა, ტიროდა. ჩხუბობდა, მუშტებს იქნევდა, მამიკო მინდაო, ჩემი პატარა სახლი მინდაო. ძლივს წამოვათრიე. ისე გამაწვალა, სულ თავბედი მაწყევლინა".

ასე უხეშად გლეჯს ზოგიერთი დედა პირველი სიხარულის ყვავილს ბავშვის გულიდან, არ უფრთხილდება მამის ავტორიტეტს, ავიწყდება, რომ ოჯახს, როგორც ჩვენი ხალხი ამბობს, ბევრი სულის ბერვა უნდა. პირადი ცხოვრებიდან ზოგ რამეს დათმობა უნდა. ამას არც უხეში მამები ითვალისწინებენ და ხშირად სცოდავენ ბავშვების წინაშე თავიანთი გაუთავებელი ლოთობით, ჩხუბითა და აყალმაყალით, არ ფიქრობენ, რომ სამშობლოს წინაშე მათი მთავარი ვალი შვილის კაცურ-კაცად, კარგ მამულიშვილად აღზრდაა.

დიდი სამამულო ომის დროს, 1942 წელს ქლუხორის საბავშვო სახლში ჩამოვიდა ცნობილი მომღერალი ქალი ანა ვარდიაშვილი. მას დიდი ყურადღებით უსმენდნენ. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან მოყვანილი, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები, როცა იგი „იავნანას" მღეროდა, დარბაზში ბავშვის ტირილნარევი ძახილი გაისმა;

— დედა, დედა, დედიკო, ძლივს არ გიპოვე? — და ხუთიოდე წლის გოგონა გახარებული გაიქცა მომღერლისაკენ, მკლავები ყელზე მაგრად შემოხვია და გულში ჩაეკრა. ბავშვი ვერაფრით ვერ მოაშორეს მომღერალს. ანამ ის ბავშვი თან წამოიყვანა და გაზარდა.

ასე ეძებენ და ეძახიან დანგრეული ბუდეებიდან გადმოცვენილი ბავშვები სხვადასხვა გზით წასულ დედას და მამას. მაგრამ, რატომღაც მათი გულის კარი მაგრად არის გადარაზული, გულისყური კი — დახშული.

შვილების აღზრდა დიდი მოვალეობაა. ყველამ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები იყოს დანგრეული ბუდე!

რჩევები ახალგაზრდა დედებს

# ბავშვს კბილმა ამოსჭრა

პაწიას რომ კბილები ამოჭრას დაუწყებს, მშობლები უფრო წუხან და ღელავენ, ვიდრე თვითონ ბავშვი; ისინი მოუთმენლად ელიან პირველი „კიჭის" გამოჩენას და შეშფოთებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ მათი ბაია უკბილო პირით იცინის, ხოლო მეზობლის ბავშვს კი უკვე ორი კბილი აქვს.

როგორც წესი, დედ-მამა ტყუილუბრალოდ ღელავს; კბილების ამოსვლის ვადა ჯანმრთელ ბავშვებში საგრძნობლად მერყეობს და არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებასთან.

მეტწილად კბილები ბავშვს მე-6 მე-7 თვეზე უწყებს ამოჭრას. პირველად ქვედა კბილები გამოჩნდება ხოლმე, მერე ზედა კბილები ამოსჭრის — ცენტრალური და გვერდითა. შემდეგ ქვედა რიგს შეემატება ორი გვერდითა რიგი, ისე რომ, ერთი წლის ბავშვს უკვე 8 კბილი აქვს.

შენიშნულია: კბილების ამოსვლის პერიოდში პაწიები ხშირად ავადმყოფობენ, ამიტომ თვლიან, რომ ამ პროცესს თან სდევს სიცხის აწევა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, სურდო. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა: კბილების ამოსვლისას ბავშვის ორგანიზმს უქვეითდება წინააღმდეგობის უნარი, ამიტომაც მას უფრო ადვილად ერევა ვირუსული და კუჭნაწლავის ინფექციები და ა. შ.

კბილები ამოსვლას ხშირად თან სდევს ჭარბნერწყვიანობა, ამიტომ მუდამ თან უნდა გქონდეთ სუფთა დოლბანდი, რაიმე რბილი ნაჭერი ან ცხვირსახოცი, რომ პაწიას დორბლი მოსწმინდოთ. ამ დროს ბავშვი ყველაფერს პირში იდებს, რადგან ღრძილები გაღიზიანებული აქვს და უნდა როგორმე მოიქავოს. ასეთ სურვილს ანგარიში უნდა გაუწიოთ. აფთიაქებში იყიდება სპეციალური რგოლი, რომელიც ბაფთით ბავშვს გულზე უნდა დაჰკიდოთ! თუ რგოლი დაბლა დაგივარდათ, არ დაგავიწყდეთ მისი გარეცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრმა გამოჩენილმა მოღვაწემ თავის შემოქმედებაში საპატიო ადგილი დაუთმო ყვავილებს.

ყვავილთა სახელწოდებით ბევრი მხატვრული ნაწარმოებია ცნობილი. იშვიათია პოეტი, რომელსაც ყვავილებისათვის არ ემღეროს. ყვავილთა სახელი ჰქვია ბევრ მუსიკალურ ნაწარმოებს. ადამიანთა და ყვავილთა ურთიერთობა ნათლად ჩანს მხატვართა ნამუშევრებში, კერძოდ, —ნატურმორტებში.

ბევრი გამოჩენილი ადამიანი ამა თუ იმ ყვავილით იყო გატაცებული.

ყვავილები ძლიერ უყვარდათ ვან გოგის, რომენ როლანს, ვიქტორ ჰიუგოს. როდესაც ჰიუგოს 81 წელი შეუსრულდა, მეუღლემ მისწერა: „რა მომხიბლავი წლისთავია! მე შენ გიგზავნი ახალ ყვავილს — ის 59 წლისაა, მას ჰქვია: „მე შენ მიყვარხარ“.

დიდ რუს კომპოზიტორს პ. ჩაიკოვსკის ძალიან ჰყვარებია შროშანა. ის 1886 წელს თბილისს ეწვია და ოპერის თეატრში დიდი სიმფონიური კონცერტი გაიმართა. როგორც მაშინდელი გაზეთები იტყობინებოდნენ, ქუთაისიდან „საგანგებოდ გამოუწერიათ მთელი ვაგონი შროშანა“.

ცნობილია, რომ ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე მიხაკის უსაზღვრო ტრფიალი იყო.

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში დიდი სიყვარული მოიხვეჭა ყვავილთა დედოფალმა ვარდმა.

გავიხსენოთ ჩვენი სასიქადულო მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები:

**„ბოტიჩელს ვარდთა სწვავდა დღე იგი,**
**რაფაელს იგი ფარავდა ლხინში,**
**სადაც ჯიოტო და ვან-დეიკი**
**და ლეონარდო იყო და-ვინჩი“.**

ბევრი მხატვრის ნაწარმოებში ნათლად ჩანს ვარდ-ყვავილების უზომო სიყვარული. ეს განსაკუთრებით ითქმის სანდრო ბოტიჩელის შემოქმედებაზე. მას, ისევე როგორც შემდეგში ველასკესს, განსაკუთრებით უყვარდა ვარდი, რომელსაც სხვა ყვავილებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ვარდი ახალგაზრდობიდანვე გოეთეს ხიბლი გახლდათ. მაისში ის ვარდებს უგზავნიდა ხოლმე თავის სატრფოს — შარლოტა ფონ შტეინს.

გადმოცემით ვიცით, რომ მირაბო გარდაცვალებისას თურმე ლუღლუღებდა: „ყვავილი, ვარდიო“.

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში ვარდთან ერთად საპატიო ადგილი დაიკავა იამ.

ია უზომოდ უყვარდათ შექსპირს, შელის, გოეთეს, ტურგენევს, ჰუმბოლტსა და სხვებს.

გოეთე განა მარტო უმღერდა იის მშვენებას, სასეირნოდ გამოსულს თან დაჰქონდა მისი თესლი და მშობლიურ ქალაქ ვაიმარსა და მის მიდამოებში მიმოაბნევდა ხოლმე! იით იხიბლებოდა აგრეთვე დიდი რუსი მწერალი ტურგენევი. ამბობდნენ, ვისბადენში მკურნალობის დროს ის ისე არავის უნახავს, თან რომ იის თაიგული არ ჰქონოდაო.

ია განსაკუთრებით უყვარდა ნაპოლეონ ბონაპარტის მეუღლეს ჟოზეფინას. ქორწილში მისი კაბა იებით იყო მორთული. დედოფალმა სურვილი გამოთქვა, ყოველ გაზაფხულზე (9 მარტს) ამ ბედნიერი დღის აღსანიშნავად მინდა იებით მოვირთოო. ნაპოლეონიც უსრულებდა ამ თხოვნას და, მართლაც, ჟოზეფინა ქორწინების დღის აღსანიშნავად ნაპოლეონისაგან, სადაც უნდა ყოფილიყო იმპერატორი, სასახლეში თუ ბრძოლის ველზე, ყოველწლიურად იის თაიგულებს იღებდა. შემდეგ, როდესაც ნაპოლეონმა ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი მარია ლუიზა შეირთო, ჟოზეფინა თავის სასახლეში — მალმეზონში გადასახლდა და მარტო ცხოვრობდა. ის სიამოვნებით უვლიდა თავისი მშვენიერი ბაღის ყვავილებს, გარდა იისა, რომლის დანახვაც უკვე აღარ უნდოდა.

ასე განვლო ოთხმა წელმა და 1814 წლის 9 მარტს მას ესტუმრა სამი წლის ბიჭუნა, რომელმაც იების თაიგული მიართვა. ბავშვს თან ახლდა მამა — ნაპოლეონი. ეს ჟოზეფინას ცხოვრებაში უკანასკნელი ბედნიერი დღე იყო. ორი თვის შემდეგ იმ დარბაზში, სადაც ჟოზეფინამ ნაპოლეონი და მისი შვილი მიიღო, იდგა იებით მორთული კუბო, რომელშიც მისი ცხედარი ესვენა.

ჟოზეფინას გარდაცვალების შემდეგ ია არ ქრება ნაპოლეონის ცხოვრებიდან. 1821 წლის 5 მაისს, როდესაც წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონი გარდაიცვალა, მის ოქროს გულსაკიდში, რომელსაც არასოდეს იშორებდა, იპოვნეს იის ორი გამხმარი ყვავილი — ჟოზეფინას უკანასკნელი მოსაგონარი.

ს. ნუცუბიძე

იუმორი

# როგორ მოვარჯულოთ ქმარი





რჩევა-დარიგება ქალებს

ქორწინების მეორე დღიდანვე ქმარს ჯერ კატეგორიულად გარეგარე სიარულს ვუშლით, მერე — ნერვებს, ერთი კვირის შემდეგ კი ვუბრუნებთ ენას, თუ საჭირო გახდა — ხელსაც. თაფლობისთვის დამთავრებამდე აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქმარმა აბსოლუტურად ყველაფერი დაგვიჯეროს. როცა დარწმუნდებით, რომ ის თქვენს ჭკუასა და ნება-სურვილზე დადის, შეგიძლიათ მსუბუქად დაბეგვოთ, დაჯიჯგნოთ და ბოლოს — დაჭამოთ! (დოზა დამოკიდებულია ქმრის წინააღმდეგობის ხარისხზე).

როცა ქმარი თქვენი მონა-მორჩილი, დამჯერი და თვინიერი გახდება, იცხოვრებთ ტკბილად და ბედნიერად!

## როგორ მოვათვინიეროთ დედამთილი

დედამთილი, დასაჯაბნად, ქმართან შედარებით უფრო ძნელი და რთული კატეგორიაა, მაგრამ არამც და არამც არ გაბრიყვდეთ და ყურში მარილი არ ჩააყაროთ! შვილებს გაზრდა ხომ უნდა? ამიტომ მასთან საბრძოლველ იარაღად, უპირველესად, თვით ქმარი უნდა გამოიყენოთ. კერძოდ, ქმარმა, თქვენი ხათრით და სიყვარულით ყოველთვის დედა უნდა დატუქსოს, დაამუნჯოს, თქვენს წინაშე ბოდიში მოახდევინოს, დაემუქროს. ყოველივე ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ დედამთილი თავისუფლად დაკბინოთ, დახრათ, დაჭამოთ და მოინელოთ!

## როგორ გავანეიტრალოთ მეზობლები

მეზობლებთან კონფლიქტს საფუძველი ახალ ბინაში გადასვლისთანავე უნდა ჩაუყაროთ: იღებთ ხელში ნაგვით ან სამშენებლო ნარჩენებით სავსე ვედროს და ცლით მეზობლის კართან. რამდენიმე ხნის შემდეგ დერეფანში აუცილებლად ატყდება ხმამაღალი ლაპარაკი ან ყვირილი. თქვენ მეზობლის აღშფოთება აინუნშიც არ ჩააგდოთ, პირიქით — ატეხეთ ისტერიული სიცილი, წამოიწყეთ სიმღერა, აახმაურეთ პიანინო. თუ ამანაც არ გაჭრა, ხმამაღლა ჩართეთ რადიოლა, ტელევიზორი და მაგნიტოფონი, იღრიალეთ თვითონაც. ასე გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. თქვენი ცდა უშედეგოდ არ ჩაივლის, მეზობელს აევსება მოთმინების ფიალა და დაგიწყებთ ჩხუბს. აი, ასე გადაიმტერებთ უახლოეს მეზობელს. იგივე მოიმოქმედეთ დანარჩენებთანაც. თუ რომელიმემ გაპატიათ, თავი არ გაგიყადრათ და ჩხუბში არ აგყვათ, მასთან იხმარეთ უფრო პროგრესული მეთოდები: გაულახეთ შვილი, გაუჭორეთ ქმარი, აურიეთ ტელეფონით, გასაშრობად გადაკიდებულ თეთრეულზე გადაუსხით მელანი, ჩამოუგდეთ ფოსტის ყუთი, მოჰპარეთ ან დაუხიეთ ჟურნალ-გაზეთები, მისწერეთ ანონიმური წერილი, უჩივლეთ სახლმმართველობაში, მის მისამართზე გამოიძახეთ სახანძრო ან სასწრაფო დახმარების მანქანა, მილიცია და ა. შ. (თუ სოფელში ცხოვრობთ, მეზობლის ყანაში, ბაღში და ბოსტანში ჩუმად შეუშვით თქვენი ძროხა, ხბო, თხა, ღორი, ცხვარი!). თუ მართლა იმ მეზობელს რკინის ნერვები არა აქვს, აუცილებლად დაგიწყებთ ჩხუბს.

## როგორ გავზარდოთ ბავშვი

გაჩნდება თუ არა შვილი, აკვანს არ გააკაროთ, თორემ ამით დათვურ სამსახურს გაუწევთ ქმარსა და დედამთილ-მამამთილს. სანამ ახალგაზრდა ხართ, თავს მოუარეთ, „ფიგურას“ გაუფრთხილდით, დრო ატარეთ!

როცა ბავშვი წამოიზრდება და სასკოლო ასაკისა გახდება, აი, მაშინ შეგიძლიათ მასწავლებელთან მიჰყვეთ, ნიშნები მოამატებინოთ, ანდა აღმზრდელ-პედაგოგები დალანძღოთ, დააშინოთ და ბავშვი არ დააჩაგვრინოთ, სამაგიეროდ, დიდი რომ გაიზრდება, მოფერებით ეტყვიან — „დედა ნახე, მამა ნახეო“!

## რა ვაკეთოთ სამსახურში

ვადუღოთ და ვსვათ ყავა, ვიმკითხაოთ, ვქსოვოთ, ვაზუსტოთ სპეკულანტთა მისამართები, სახელდახელოდ მოვაწყოთ კოსმეტიკის კაბინეტი, გავხსნათ პარფიუმერია, გავაჩაღოთ ხელზე ვაჭრობა, ვთათხოთ დედამთილები, ვჭოროთ უფროსები, დავჭამოთ თანამშრომლები და, თუ დრო დაგვრჩება, სამსახურის საქმესაც მივხედოთ!

## რა უნდა ვამღეროთ სავამორჯულოდ ქმარს

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“!, „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი“, „თვალები რომ მომანათე, თითქოს დილის ცისკარია“, „შენ ჩემი გაზაფხული და ჩემი ოცნების წყარო ხარ“, „ქალო, შენი ღიმილი ჩემთვის ყველაფერია“, „შემირიგდი“, „ტურფავ, ტურფავ“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჩემთან მოფრინდი, მერცხალო“, „ქალო განხე ფეხშიშველი“, „გიყიდი, გიყიდი ფაჩუჩებს“ და ა. შ.

სიმღერები უნდა შეასრულონ სამზარეულოში ან აბაზანაში, ჭურჭლისა და თეთრეულის რეცხვის დროს, სიდედრის თანდასწრებით, თქვენი წყევლის აკომპანემენტის თანხლებით, მაღალ ხმაზე, ფხიზელმა, მეზობლების გასაგონად.

თქვენ უნდა იმღეროთ:

„კარგი იყო, არ გამეცან თავიდან“, „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“, „ღვინოსავით მათრობელავ, ჩემდა ჭირად დაიბადე“, „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...“

სრულდება დაბალ, ოდნავ სევდიან ხმაზე, უცრემლოდ, გაწყობილ სუფრასთან, დედამთილისა და მულების თანდასწრებით, ქმრის მიერ ჩართული სარეცხი მანქანის აკომპანემენტით.

ვანო ცინცაძე

# რჩევები

## როგორ ვიხმაროთ სარეცხის ფხვნილები ისე, რომ ალერგიული რეაქცია არ გამოიწვიოს!

სინთეტიკური სარეცხის ფხვნილები კარგად რეცხავს, აცილებს ლაქებს, ათეთრებს და დეზინფექციას უკეთებს თეთრეულს. ყველა ფხვნილი, რომელიც იყიდება, წინასწარ შემოწმებულია და თუ მათ სწორად ვიხმართ, არავითარი საშიშროება არ მოგველის.

უპირველეს ყოვლისა, დაიცავით ინსტრუქცია, რომელიც სარეცხის ფხვნილს ყუთზე აწერია. იქ მითითებულია, თუ რა რაოდენობის ფხვნილი უნდა ამოიღოთ. არასოდეს არ ჩაყაროთ იგი „თვალდათვალ“, როგორც მოგხვდებათ. გადაჭარბებულმა დოზამ შესაძლოა ალერგია, კანის გაღიზიანება და ზოგჯერ მოწამვლაც კი გამოიწვიოს. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ფეხმძიმე ქალებს. ფხვნილი, რომელიც მანქანაში სარეცხად არის გათვალისწინებული, არ იხმაროთ ხელით რეცხვის დროს და არავითარ შემთხვევაში — ჭურჭლის დასარეცხად!

ხელებზე ფხვნილის ნაწილაკების დარჩენისას, შესაძლოა კანის სიმშრალე, ქავილი, ზოგჯერ ანთებაც კი გაჩნდეს. თუ მიზეზიანი კანი გაქვთ, რეცხვის წინ წაისვით დამცველი მალამო („სილიკონოვი“) ან ჩაიცვით თხელი რეზინის ხელთათმანები. როცა რეცხვას მორჩებით, ხელები საპნით დაიბანეთ, შემდეგ გადაივლეთ თბილი წყალი და წაისვით მარბილებელი მალამო.

ფხვნილის ნაწილაკები რომ სასუნთქ გზებში არ მოხვდეს, ტაშტში მისი ჩაყრისას ზედ ნუ გადაეყუდებით, ამასთან ცხვირ-პირზე აიფარეთ ცხვირსახოცი ან დოლბანდი; შეიძლება რეცხვის წინ ცხვირში ზეთი ჩაიწვეთოთ. მუშაობის დროს ისუნთქეთ ცხვირით. როცა რეცხვას მორჩებით, აუცილებლად პირში და ყელში წყალი გამოივლეთ და სამრეცხაო ოთახი გაანიავეთ.

თუ ცხვირში გაჭედვის შეგრძნება, ცემინება, ლორწოვანი გამონადენი ან ყელში ქავილი, მშრალი ხველა, თვალების წვა და ცრემლის დენა დაგეწყოთ, ეს უკვე ალერგიული რეაქციის ნიშნები გახლავთ და საჭიროა მაშინვე შეწყვიტოთ ფხვნილის ხმარება. შემდგომში სარეცხი საპნით უნდა დარეცხოთ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ სარეცხის ფხვნილი ქსოვილზე ილექება. ამიტომ იგი რამდენჯერმე გაავლეთ ჯერ თბილ წყალში, შემდეგ კი — ცივში. ბუნებრივი ქსოვილი უფრო გულდასმით გაავლეთ, რადგან ფხვნილი მას უფრო ძნელად შორდება, ვიდრე სინთეტურს.



## პიტერ პაულ რუბენსი — „მიწისა და წყლის კავშირი“

●

„რუბენსს უნდა ხედავდე, რუბენსი უნდა შეიგრძნო, რუბენსს უნდა იხატავდე, რადგან რუბენსი — ღმერთია“.

ეს სიტყვები, წარმოთქმული რუბენსის გარდაცვალებიდან ორასი წლის შემდეგ ეკუთვნის ცნობილ ფლამანდიელ ფერმწერს — ეჟენ დელაკრუას, რაც ნათლად ადასტურებს იმ დიდ გავლენას, რასაც ახდენდა და ახდენს რუბენსის შემოქმედება ახალი დროის ხელოვნებაზე.

მხატვრის ხელოვნება გახდა ნიმუში არტისტიზმისა, ფერწერული გამომსახველობის თავისუფლებისა, კომპოზიციური ფანტაზიისა და ბობოქარი მხატვრული ტემპერამენტისა.

ფერწერული ტილო „მიწისა და წყლის კავშირი“ არის ნაყოფიერების, ხვავისა და ბარაქის ჰიმნი.

სურათზე გამოსახულია: მიწის ქალღმერთის — გეას ქალიშვილი კიბელა და წყლის ღმერთი ნეპტუნი, რომელთაც ცბიერი, კეკლუცი ქალიშვილი ადგამს გვირგვინს, ტრიტონი, რომელიც მხიარულად უბერავს ნიჟარაში და წყალში მოთამაშე ბავშვები.

გარეკანის პირველ გვერდზე — მცხეთის რაიონის, სოფ. ძველი ქანდის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლ. თათარაშვილი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; — მეოთხეზე — პიტერ პაულ რუბენსი — „მიწისა და წყლის კავშირი“.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ბ. ზანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6/IX-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/X-82 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 1/3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
ტირაჟი 126.100. შეკვ. 2130. უე 05783.



მოდების ავტორი ნანა ცაქვიტაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდექსი 76178

ფასი 80 კაპ